საპარლამენტო რეპუბლიკა

დაარსებულია 1918 წელს.

შაბათი, 27 აპრილი, 2013 წელი.

№79 (7206)

იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბოჭდეური სიფცეა, ფცეილებით და ჭირებით ბუნების გაფანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

ელექტრონული ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@wanex.ge

ვებ გვერდი: www.open.ge

ფასი 50 თეთრი.

სტრასბურგში გამოსვლით ივანიშვილმა საერთაშორისო არენაზე ქვეყნის პოლიტიკური ლიდერის ადგილი დაიმკვიდრა

3



უსაფლავრონი და ძლევიჭამიები

4

ვოცნებობ მოვაწესრიგო ურთიერთობა რუსეთთან და შევუერთდეთ ნატოს

8

ავთანდილ ჭრიკიშვილი ევროპის ჩემპიონია

გუშინ, ძიუდოისტთა ევროპის ჩემპიონატზე 81 კილოგრამ წონით კატეგორიაში ავთანდილ ჭრიკიშვილმა გადამწყვეტ პაექრობაში ხორვატ ტომისლავ მარიანოვიჩს აჯობა და ოქროს მედალი დაიმსახურა.



ავთანდილ ჭრიკიშვილი



ნუგზარ ტატალაშვილი

ზეგედა რეხვიაშვილი

ტატალაშვილს ვერცხლი, რეხვიაშვილს ბრინჯაო

ბუდაპეშტში ძიუდოისტთა ევროპის ჩემპიონატზე 73 კილოში ნუგზარ ტატალაშვილმა ფინალური შეხვედრა წააგო სლოვენიელ როკ დრაკშიჩთან და ვერცხლის მედალს დასჯერდა. ამავე წონაში ზეგედა რეხვიაშვილმა მესამე ადგილისთვის პაექრობაში ბელგიელ დირკ ვან ტიჩელტს აჯობა და ბრინჯაოს მედალი მოიპოვა.

ქართული მწერლობის რაინდი

6-7

გურამ ფანჯიკიძე - 80

მთელი სამეფო ლაშქარი...

9

რასაც ჩვენს გაზეთში წაიკითხავ, სხვაგან ვერ ნახავ!..

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

◎ ბიზნესი გაიოლდება

ვერც ერთი ჩინოვნიკი ვერ გაბედავს, ჩაერიოს კერძო საკუთრებაში

საძართველო ერთ-ერთი საინტერესო ქვეყანა იქნება ბიზნესის კეთების კუთხით, – ამის შესახებ პრემიერ-მინისტრმა ბიძინა ივანიშვილმა ბიზნესმენებთან შეხვედრის დროს განაცხადა. როგორც პრემიერმა აღნიშნა, საქართველოში იქნება აუცილებლად სუფთა და კონკურენტუნარიანი ბიზნესგარემო.

– ვერც ერთი ჩინოვნიკი ვერ გაბედავს ჩაერიოს კერძო საკუთრებაში. ჩინოვნიკების დანიშნულება იქნება ხელი შეგიწყონ ნებისმიერ ბიზნეს-წარმოებაში. ამ მხრივ, პირობები იქნება არანაკლები, ვიდრე არის ამერიკასა და ევროპის ქვეყნებში. ჩემი ინიციატივით იქმნება სამი ფონდი, რომელიც ჩადგება ბიზნესის სამსახურში და საინტერესოს გახდის ჩვენს ბაზარს. ყველაზე საინტერესო იქნება თანაინვესტირების ფონდი, რომელსაც ბაჩიაშვილი კურირებს, – განაცხადა ბიძინა ივანიშვილმა.

მისივე თქმით, საქართველოში კომპლექსური გადასახადი არის 16% და ამ მხრივ ქვეყანა მსოფლიოში არის მეოთხე ადგილზე, რაც ძალიან მნიშვნელოვანია.

პრემიერი ბიზნესმენებს ყველა პრობლემის მოგვარებას თავად დაჰპირდა და განაცხადა, რომ საქართველოში ბიზნესის წარმოება აუცილებლად გაიოლდება.

◎ ბათუმელთა ახალი თავსატეხი

სააკაშვილის ოცნებებს „მეოცნებეები“ ანგრევენ

საძართველოს პრეზიდენტი პრემიერ-მინისტრს მოუწოდებს, ბათუმის ტექნოლოგიური უნივერსიტეტის შენობის მერიისთვის გადაცემის გადაწყვეტილებას გადახედოს. როგორც მიხეილ სააკაშვილი „ფეისბუქის“ ოფიციალურ გვერდზე გავრცელებულ განცხადებაში აღნიშნავს:

– 2012 წელს ბათუმში ამერიკული ტექნოლოგიური უნივერსიტეტის მშენებლობა დასრულდა. საქართველოს მთავრობამ ამ პროექტში რამდენიმე ათეული მილიონი ლარი ჩადო და ამერიკის მთავრობის პროგრამით, დამატებით, 50-დან 100 მილიონ დოლარამდე უნდა მიგვეღო ერთ-ერთი წამყვანი ამერიკული ტექნოლოგიური უნივერსიტეტის შემოსაყვანად. ამ უნივერსიტეტისთვის შენობა ქართველმა არქიტექტორმა დააპროექტა და ქართველმა მშენებლებმა ააშენეს. ეს იქნებოდა საქართველოს ნამდვილი სიამაყე – უნივერსიტეტი, რომელიც კავკასიაში ყველაზე მაღალ შენობაში დაიდებდა ბინას, ჩვენს ქვეყანას მოუმზადებდა თანამედროვე ტექნოლოგიების სპეციალისტებს. მსგავსი მსოფლიო დონის სასწავლო დაწესებულება საქართველოში პირველი იქნებოდა და იქ ქართველი სტუდენტების უმეტესობა სწავლას უფასოდ შეძლებდა. ეს ასე იყო ჩაფიქრებული. ამ დღეებში საქართველოს ახალი მთავრობის კატასტროფული გადაწყვეტილების შესახებ შევიტყვე - აღარ განათავსონ ქვეყნის ყველაზე გრანდიოზულ შენობაში უნივერსიტეტი და მის ნაცვლად იქ შეასახლონ ბათუმის მერია. ბათუმში მერიას უკვე ჰქონდა დიდი და კომფორტული შენობა, მაგრამ ამასაც რომ თავი დავანებოთ, მსოფლიოს ყველა ნორმალური ქვეყნის მერია იოცნებებდა თავის ქალაქში მსგავსი უნივერსიტეტის გახსნაზე, რადგან ის მოიტანდა განვითარებას და ხელს შეუწყობდა ქალაქის მოსახლეობის კეთილდღეობას. და რა სარგებელი შეიძლება მოიტანოს მერიის იქ გადასვლამ? – საერთოდ არაფერი! თუ მთავრობას განათლების ახალი კერის გაჩენა ასე მხოლოდ იმიტომ აღიზიანებს, რომ ის ჩემს სახელს უკავშირდება, ამ შენობის გაყიდვა შეეძლოთ და ბათუმის ბარაკების მცხოვრებთათვის ბინების მიცემა (ამ პროგრამის განხორციელება ბიუჯეტში გვქონდა გათვალისწინებული და მისი მრავალგზის შესწორების საფუძველზე, საბოლოოდ, საერთოდ ამოაგდეს). სამწუხაროდ, მიწევს იმის თქმა, რომ ეს გადაწყვეტილება დამანგრეველი და არაცივილიზებულია და მიმართულია ჩვენი ქვეყნის მომავლის წინააღმდეგ. ეს არის გადაწყვეტილება, რომელიც თალიბებისგან უფრო იქნებოდა მოსალოდნელი, ვიდრე 21-ე საუკუნის ევროპული ქვეყნის მთავრობისგან. მოვუწოდებ პრემიერ-მინისტრს, გადახედოს ამ გადაწყვეტილებას!, – აღნიშნავს მიხეილ სააკაშვილი.

ოდიოზური ადამიანების ოცნება არ განხორციელდება

კომპეტენტურმა ადამიანებმა გამოთქვეს აზრი, რომ ბათუმის ტექნოლოგიური უნივერსიტეტის შენობა ოდიოზურია, – ამის შესახებ ჟურნალისტებს განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა გიორგი მარგველაშვილმა განუცხადა.

– სააკაშვილს უნდოდა იქ უნივერსიტეტი? რატომ არ შეინარჩუნა სააკაშვილის სურვილმა თავისი მდგრადობა, ეს ჰკითხეთ სააკაშვილს. მე არ გადამიწყვეტია არაფერი. ეს იყო სააკაშვილის სურვილი, რომელმაც, ბუნებრივია, ისევე, როგორც მისმა მრავალმა ოცნებამ დაკარგა თავისი ფორმა იმიტომ, რომ არც იყო რეალობასთან კავშირში, – განაცხადა მარგველაშვილმა.

მისივე თქმით, კომპეტენტურმა ადამიანებმა, როგორც ქართველებმა, ასევე უცხოელებმა გამოთქვეს აზრი, რომ ასეთი შენობის აგება ოდიოზური გადაწყვეტილება იყო.

– ესენი სააკაშვილისნაირად არქიტექტურაში, ალბათ, არ არიან ჩახედულები, მაგრამ უფრო მეტად ესმით უნივერსიტეტი, – განაცხადა გიორგი მარგველაშვილმა.

◎ ფეისბუქიდან

წერტილოვანი ფრაზები

● მოსაღამოვდა და ამოდის უწყვეტად ტიტველი ნაშების ფოტოები:)) ვაი, ვაییییი :)))

● მიშამ გაზაფხულსაც ვეტო დაადო მგონი....

● გრინჩმა შობა მოიპარა ერთხელ და ისიც მოინანია, ურცხვმა მიშამ ჩვენი ცხოვრების 9 წელი და გაზაფხული მო(ი)ტყვანა და კიდევ აქ ზოგ-ზოგიერთები რა უსირცხვილოდ კოაბიტირებთ...

„ფუ, შეგარცხვინოთ ღმერთმა“.

● რადგან ეროვნულს აწვებიან, რჩევა მიუციათ ვანოსთვის – წვერი მოუშვიო და ხალხს ასე მიმართე: „მამულიშვილნო!“

ამაზე ვანოს უკითხავს – რამე მოკლე და იოლად წარმოსათქმელი სიტყვა ხომ არ გეგულებათ, სანამ მაგას ვიტყვი, ხალხი დაიშლებაო.

● „მადრიდის რეალი და ბარსელონა რეჟიმის მსხვერპლი არიან“ – განაცხადა გია ხუხაშვილმა.

● ჩვენ ვინანებთ, რომ 20 იანვარს არ დავამთავრეთ სააკაშვილის პრეზიდენტობა. თქვენ ხედავთ სააკაშვილი ფეხდაფეხ დასდევს ივანიშვილს. ის მუშაობს იმაზე, თუ როგორ მოშალოს სახელმწიფო ინსტიტუტები. ეს ებრძვის არა ერთ კაცს – ივანიშვილს, არამედ ებრძვის სახელმწიფოს.

● ყველა ნაცი პრემიერის გამოსვლას, უარყოფითად აფასებს, მათ შორის წარჩინებულ ნაცებს რცხვენიათ კიდეც,თქვენ წარმოიდგენეთ მეც ასე ვარ) ამ დალოცვილ ევროპაში არ იტყვიან ასეთი კაცი თუ გყავდათ ქვეყანაში, იმ ჭკუამხიარულ-დაფშტვენილს 9 წელი რაფრა ალაპარაკდებითო))

● დღეს, ჩასაფრებულ „ნაცმოძრაობას“ უფრო მეტის გაფუჭება შეუძლია ქვეყნისა და ხალხისათვის, ვიდრე საქმის კეთებაზე ორიენტირებულ ბიძინა ივანიშვილის კოალიციას შეუძლია ჩასაფრებული „ნაცების“ პირობებში გააკეთოს ხალხისა და ქვეყნისათვის.

● უცებ წარმოვიდგინე ნეონაცისტები წვერებში 90-იანი წლების არაფორმალებივით. ჩიორა და ირმა ნადირაშვილი პარლამენტის წინ აქციაზე, გადამწყვეტ მომენტში რომ დასჭექენ ფანდურზე სიმღერას) „მიშა მაგარია“. წარმოვიდგინე და ვკვდები სიცილით;))

● გამომცემლობა „ლოგოს პრესმა“ დამბლოკა :) რატომ? სიმართლე რომ დავუწერე, გამომცემლობები შეკრულები რომ იყვნენ განათლების სამინისტროსთან და მხოლოდ ერთეულ გამომცემლობებს რომ ჰქონდათ ეს ბიზნესი ჩაგდებული ხელში! ნუთუ კუდავას და ლია შალვაშვილის (თუ შავლაშვილი) და ა.შ გამომცემლობაზე მაღალი ხარისხი სხვა გამომცემლობას არ შეეძლო მიეღო? საქმე ის კი არაა, რომ უნდა დაურიგონ უფასოდ. ეს საქმეები უნდა გამოიძიონ. რამდენ პროცენტს იღებდა განათლების სამინისტრო, ბატონი სიკო (სიმონ) ჯანაშია. რატომ არ იძიებთ? აბა თქვით, ხმას რატომ არ იღებთ?

● ნინო ჩხეიძე: „Fachion week-ზე არავინ დამპატიჟა დათუნა სულიკაშვილის გარდა და რატო ნეტა, მთავრობამ იმოქმედა?:)) აქამდე რომ VIP ვიყავი? :)))) ჰაჰაჰაჰაჰაჰაჰაჰაჰაჰაჰა ზოგჯერ სეფაში, ზოგჯერ სად, მაგრამ მე ვიყავი სულ, მაგრამ ახლა რატომღაც დავავიწყდი ყველას :))), ეტყობა, მოდას ჩამოვრჩი :))))))))), ასეა ცხოვრება, რას იზამ :)))))))))))), არადა მინდოდა ძალიან, ვიფიქრე, არაფერი არ ხდება და Fachion week-ზე მაინც წავალ, ჩემს ხალხს დავენახვები-თქო, მაგრამ არა, არ მომეცა საშუალება :))))))))))) ა�ა, ხო :)))))))))))))), ალბათ გამიფრთხილდნენ, მე ხომ ერთი ვარ :)))))))) ჰაჰაჰაჰაჰაჰაჰაჰა, სირცხვილია, ყველაფერი სირცხვილია :))))))))))), როგორც უცნობი მღერის ისე :)))))))))))))“.

● „რეჟიმის მსხვერპლი,“ ჯერ კიდევ ცოტა ხნით ადრე სულ სხვა კონტექსტში განიხილებოდა.

საზოგადოება რეჟიმის მსხვერპლად გირგვლიანს, ენუქიძეს, როგაქიძეს, გამცემლიძეს, ვაზაგაშვილს, 26 მაისს დაღუპულ მამულიშვილებს, 2008 წლის აგვისტოში დაღუპულ გმირებს და მათსავით შეწირულ ადამიანებს განიხილავდა, ხოლო დღეს მათ რიცხვში ახალაიების ჩაყენება, ამ ხალხის სულების შეურაცხყოფაა, რომ აღარაფერი ვთქვათ იმ ცოცხალ ადამიანებზე, რომლებიც სააკაშვილის რეჟიმს თავგანწირვით ებრძოდნენ. ბატონმა ხუხაშვილმა აუცილებლად უნდა გასცეს პასუხი კითხვას, თუ ვინ იყო წინა რეჟიმის მსხვერპლი, ბაჩო და დათა ახალაიები თუ ციხეში წამებით გარდაცვლილი ან ცოცხით გაუპატიურებული პატიმრები“.

გია გაბრიჭიძე

◎ დღესასწაული

26 მაისს ეკლესიაც იზეიმებს

26 მაისის ღონისძიებებში საქართველოს ეკლესია მონაწილეობას მიიღებს, თუმცა, ეს მონაწილეობა გამიჯნული იქნება სახელმწიფოსგან, – ამის შესახებ ჟურნალისტებს სამთავისისა და გორის მიტროპოლიტმა ანდრიამ განუცხადა, რომელიც 26 მაისისთვის ღონისძიებებისადმი მიძღვნილ სამთავრობო კომისიის შეხვედრას ესწრებოდა.

– საქართველოს ეკლესია 26 მაისის ყველა ღონისძიებაში მიიღებს მონაწილეობას. ამ დღისთვის დაგეგმილია სხვადასხვა საეკლესიო ღონისძიება, რამეთუ თავისუფლება არის ღვთიურ მონიჭებული ჯილდო და თვისება ადამიანებისა, – განაცხადა მიტროპოლიტმა ანდრიამ.

მისივე თქმით, 26 მაისი არის კვირა, ღვთისმსახურების დღე, აქედან გამომდინარე საზეიმო მსახურებას აღასრულებს სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია მეორე.

– ამ დღეს დაირეკება საზეიმო ზარები, საქართველოს ყველა საკათედრო ქალაქში გადახდილი იქნება სამადლობელი პარაკლისი, – განაცხადა მიტროპოლიტმა ანდრიამ.

* * *

საძართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი მაია ფანჯიკიძე დარწმუნებულია, რომ ქვეყნის პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი 26 მაისის ღონისძიებებში მონაწილეობას მიიღებს როგორც რიგითი მოქალაქე. ამის შესახებ ჟურნალისტებს მაია ფანჯიკიძემ განუცხადა.

კითხვაზე: თუ რა ფორმით იქნება პრეზიდენტი ჩართული 26 მაისის ღონისძიებებში, მინისტრმა უპასუხა: – პრეზიდენტი, როგორც საქართველოს მოქალაქე მე დარწმუნებული ვარ, რომ მიიღებს მონაწილეობას. რაც შეეხება ამ ღონისძიებას, ეს არ იქნება ისეთი, როგორიც იყო აქამდე, რომ აი მთავრობა რაღაცას აკეთებს და მთელი დანარჩენი საქართველო უყურებს. ეს იქნება საერთო ეროვნული ზეიმი. ამ საერთო ეროვნულ ზეიმზე მეც თქვენთან ერთად მივიღებ მონაწილეობას.

ინტერპრესი

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

სტრასბურგში გამოსვლით ივანიშვილმა საერთაშორისო არენაზე ქვეყნის პოლიტიკური ლიდერის ადგილი დაიმკვიდრა

— ბატონო ივანო, როგორ შეაფასებდით პრემიერ-მინისტრ ივანიშვილის ვიზიტს სტრასბურგში, იმ პრეტენზიებს, რომელიც ამ ვიზიტთან დაკავშირებით უმცირესობის ლიდერებმა და თავად პრეზიდენტმა გამოთქვეს?

— სტრასბურგში პრემიერ-მინისტრის პირველი გამოსვლა ძალიან მნიშვნელოვანი იყო, ვინაიდან ევროპის საბჭოს ასამბლეა კარგი საშუალებაა, ქვეყნის ახალმა პოლიტიკურმა ლიდერმა გამოკვეთოს თავისი პრიორიტეტები, დააფიქსიროს თავისი მიდგომები იმ ფასეულობების მიმართ, რომელთაც ევროპული ფასეულობები ჰქვია და ისაუბროს იმ კონკრეტულ თემებზე, რომლებიც საქართველოსთან მიმართებაში ევროპისთვის მნიშვნელოვანია. **პრემიერის გამოსვლა იყო სრულყოფილი და ამომწურავი. ივანიშვილს ჰქონდა საშუალება და მან კარგად გაართვა თავი იმას, რომ წარმოდგენილიყო, როგორც ქვეყნის ახალი პოლიტიკური ლიდერი. სტრასბურგში გამოსვლით ივანიშვილმა საერთაშორისო არენაზე ქვეყნის პოლიტიკური ლიდერის ადგილი დაიმკვიდრა.**

რაც შეეხება კითხვა-პასუხის რეჟიმს, ის თავისთავად ვერ აცდა „ქართული ოცნების“ პოლიტიკური ლიდერის როლს. მას მოუწია პოლემიკაში შესვლა ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის კონკრეტულ წევრებთან, რაც ამ ასამბლეისთვის ნორმაა. ალბათ, არ უნდა გაგვიკვირდეს, რომ ამ თვალსაზრისითაც, ივანიშვილი, როგორც „ქართული ოცნების“ ლიდერი, უკვე კითხვა-პასუხშიც და არა გამოსვლაში, უფრო მეტწილად წარმოაჩენდა თავს. არ უნდა გაგვიკვირდეს, რომ საპარლამენტო ასამბლეის „ნაცმოძრაობის“ მხარდამჭერებს წინასწარ ექნებოდათ მისდამი პრეტენზიები. არ უნდა გაგვიკვირდეს „ნაცმოძრაობის“ წარმომადგენლების მტკიცებები, რომ ივანიშვილის ვიზიტი სტრასბურგში წარმატებული არ იყო. ამგვარი მოლოდინი წინასწარვე არსებობდა. გადაჭარბებულად მიმაჩნია ის შეფასებები და პრეტენზიები, რომლებმაც ივანიშვილის მისამართით უმცირესობის წარმომადგენელთა მხრიდან გაიჟღერა. ამ თვალსაზრისით კონსტრუქციული იყო დავით ბაქრაძე. როგორადაც ბაქრაძე მოიქცა, დიდი ხნის წინათ უნდა გაეკეთებინა „ნაცმოძრაობას“. შიდა დაპირისპირება გაშიშვლებული სახით საერთაშორისო დონეზე, ამ შემთხვევაში ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეაზე, არ უნდა იყოს წარმოდგენილი. ივანიშვილმა ზუსტად ის აქცენტები დასვა, რომლებიც „ქართულ ოცნებას“, როგორც სამუშაო გზამკვლევი, შეუძლია გამოიყენოს იმისთვის, რომ რეალურად გაატაროს ის დღის წესრიგი, რომელიც ივანიშვილსა და ახალ მთავრობას აქვთ საპარლამენტო ასამბლეის ფარგლებში.

— პრემიერმა ივანიშვილმა სტრასბურგში განაცხადა, რომ რუსულ-ქართული დიალოგის დაწყებით არ უნდა ჩაითვალოს, თითქოს თბილისს რუსეთთან პრობლემების მოგვარება დასავლეთის დახმარების გარეშე შეუძლია და იმავე დასავლეთს ამ თვალსაზრისით დახმარებისკენაც მოუწოდა. რამდენად დიდია ალბათობა, რომ დასავლეთი რუსულ-ქართულ ურთიერთობებში არსებული პრობლემების დაძლევაში მეტ აქტიურობას გამოავლენს და, სავარაუდოდ, რაში შეიძლება გამოიხატოს ეს აქტიურობა იმის გათვალისწინებით, თუ რა ურთიერთობებია ჩამოყალიბებული, ერთი მხრივ, რუსეთსა და ევროპას, ხოლო, მეორე მხრივ, რუსეთსა და ამერიკას შორის?

— რა თქმა უნდა, მნიშვნელოვანია, რომ პრემიერმა ოფიციალური ტრიბუნიდან ღიად განაცხადა — რუსეთთან პირდაპირი დიალოგის პარალელურად ძალიან მნიშვნელოვნად მიაჩნია, ეს ასევე ხდებოდეს ჩვენი დასავლელი პარტნიორი ქვეყნების ხელშეწყობითაცო. ალბათ, ეს ასევე არის ჩვენი პარტნიორი ქვეყნების რეკომენდაციაც და მოთხოვნაც, რათა შემდგომში არ მოხდეს გართულებები. ჩვენ გვაქვს ძალიან ცუდი გამოცდილება რუსეთთან ერთი-ერთზე დარჩენის და, ალბათ, ჩვენი მეგობრების, იქნებიან ეს ამერიკელები თუ ევროპელები, რჩევა იყო, ივანიშვილს არ ჰქონოდა ილუზია, თითქოს რუსეთთან პირდაპირი დიალოგით ჰუმანიტარულ თუ ეკონომიკურ საკითხებზე ის შეძლებდა რაიმე შედეგის მიღწევას. ამ პროცესიდან დასავლეთისა და ამერიკის გამოთიშვა არ წაადგებოდა საქმეს, ანაც, ზოგადად, საქართველოს ევროინტეგრაციას.

ამ თემაზე დასავლეთმა ივანიშვილისგან მოისმინა ის, რაც უნდა მოესმინა. ეს თავისთავად რუსეთისთვისაც მნიშვნელოვანი გზავნილია. ალბათ, არც რუსეთს ამ ეტაპზე არ უნდა საქართველოსთან ერთი-ერთზე დარჩენა და ელოდება იმ დროს, როცა რუსულ-ქართული ურთიერთობები გარკვეულ წილად ნორმალურ ფაზაში შევა. ალბათ, რუსეთისთვის ეს იქნება ტესტი ევროპასთან მიმართებაში იმაზე, თუ რამდენად შეძლებს ის საქართველოს ახალ ხელისუფლებასთან გარკვეული საკითხების მოგვარებას.

ევროპას აქვს დიდი რესურსი იმისა, რომ იყოს შუამავალი რუსეთსა და საქართველოს შორის მას შემდეგ, რაც რუსეთსა და საქართველოს შორის ეკონომიკური და ჰუმანიტარული პრობლემები გადაიჭრება და საქმე კონკრეტულად კონფლიქტურ ზონებს შეეხება. ევროკავშირს აქვს იმის რესურსი, რომ მხარეებს შორის ნორმალური ურთიერთობები თავიდან დაიწყოს. მათ შეუძლიათ, ძალიან დიდი როლი შეასრულონ როგორც ევროკავშირის კომისარიატის, კონკრეტული ქვეყნების თუ ევროსაბჭოს ჩარჩოებში.

— საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრმა მაია ფანჯიკიძემ ნატოს მინისტერიალს ავღანეთიდან ტვირთების გადაზიდვა ბაქო-თბილისი-ყარსის სარკინიგზო ხაზით შესთავაზა. რამდენად დიდია ალბათობა, რომ ნატო ავღანეთიდან ტვირთების სამხრეთ კავკასიაზე გატარებასთან დაკავშირებით ანკარის, თბილისისა და ბაქოს სურვილს გაითვალისწინებს?

— მიუხედავად იმისა, რომ ივანიშვილს აშშ-ის ელჩთან კარგი ურთიერთობები აქვს, აშშ-ის ადმინისტრაციასა და საქართველოს ახალ ხელისუფლებას შორის ურთიერთობებში საწყის ეტაპზე გარკვეული სირთულეები არსებობდა. ამის მიზეზი გახლდათ გაუგებარი გზავნილები, დაძაბული სიტუაცია, რომელიც ეხებოდა არჩევნების შედეგებზე შეთანხმებას, „ნაცმოძრაობის“ წარმომადგენლობას პარლამენტში, პრეზიდენტის უფლებამოსილების ვადასა თუ, საერთოდ, კოჰაბიტაციას. მიუხედავად იმისა, რომ ამაზე არც ერთი მხარე ღიად არ საუბრობდა, ეს ხან პრეზიდენტ სააკაშვილს, ხანაც აშშ-ში საქართველოს ელჩს თემურ იაკობაშვილს ბრალდებოდა. ამის გამო, ტრანზიტის თემა თავისთავად იყო პრობლემური.

ახლა ამ თემაზე საუბრის განახლება ქართული მხრიდან არის მცდელობა, აშშ-სთან ურთიერთობები უფრო საქმიან სიბრტყეში გადაიყვანონ. ტრანზიტის თემა საქართველოსთვის, რა თქმა უნდა, მომგებიანია. ქართული მხრიდან აშშ-სთვის ნებისმიერი შეთავაზება, იქნება ეს ტრანზიტის საკითხი თუ სხვა რამ, რაც ორ ქვეყანას შორის ურთიერთოების გაღრმავებაზე იქნება ორიენტირებული, შექმნის ქვეყნებს შორის ძალიან კარგი პრაქტიკული თანამშრომლობის მექანიზმებს. სავარაუდოდ, ეს არის იმის მცდელობა, გაირკვეს, თუ რამდენად მზად არის აშშ, საქართველო უსაფრთხოების სქემაში ჩართოს.

აუცილებელია, ითქვას, რომ საქართველოს მთავრობას ეს სარკინიგზო ხაზი დასამთავრებელი აქვს. თურქეთის მხარეც საკმაოდ რთულ სიტუაციაშია, ვინაიდან მათაც თავის წილ სარკინიგზო მონაკვეთზე სამუშაოები დასრულებული არ აქვთ. ასე რომ, ამ ეტაპზე ჩვენი ეს შეთავაზება, გარკვეულ წილად ჰიპოტეტური შეთავაზება გახლდათ.

— გასულ კვირაში სერბეთი და კოსოვო ურთიერთობების ნორმალიზაციაზე შეთანხმდნენ. ბელგრადსა და პრიშტინას შორის მოლაპარაკებებს, რაც 6 თვის განმავლობაში მიმდინარეობდა, ევროკავშირის საგარეო პოლიტიკის კომისარი კეტრინ ეშტონი ხელმძღვანელობდა. მართალია, დოკუმენტის საკვანძო პუნქტი კოსოვოს ტერიტორიაზე სერბი მოსახლეობით დასახლებულ ტერიტორიებზე სერბებს თავისი გავლენის გაძლიერების საშუალებას აძლევს, მაგრამ ექსპერტები აღნიშნავენ, რომ ამ დოკუმენტით სერბეთმა პრაქტიკულად კოსოვოს დამოუკიდებლობა აღიარა. გასაგებია, რომ სერბეთი ამ ნაბიჯს ევროკავშირში გაწევრების ფასად დგამს, მაგრამ, რამდენად დიდია ალბათობა, რომ იგივე ბრიუსელმა ქართულ მხარეს ევროკავშირში გაწევრების დაპირებით, თბილისს, სერბულ-კოსოვურის მსგავსი, სოხუმთან და ცხინვალთან ურთიერთობების ნორმალიზაციის დოკუმენტი შესთავაზოს?

— ძალიან მნიშვნელოვანია ის, რაც კოსოვოს ეხება, ვინაიდან პრეცედენტულია. თუ ეს პრეცედენტი ევროკავშირმა შექმნა, საუბარია სერბეთსა და კოსოვოს შორის ურთიერთობების ამგვარ ფორმატზე, რაც გულისხმობს, ორივე მხარის, სერბეთისა და კოსოვოს ევროკავშირში გაწევრებას, ეს თავისთავად საგულისხმო და საინტერესოა. ქართულმა მხარემ ძალიან სერიოზულად უნდა იმუშაოს იმისათვის, რომ ამ კუთხით გრძელვადიან პერსპექტივაში დააინტერესოს ოსური და აფხაზური მხარე. რა თქმა უნდა, ეს შეიცავს გარკვეულ საფრთხეს. რუსეთმა კოსოვოს მაგალითი გამოიყენა ზუსტად იმისთვის, რომ აღიარა აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობა. კოსოვოსგან განსხვავებით, სადაც ევროკავშირის ქვეყნების ჯარი დგას, ჩვენს კონფლიქტურ ზონებში რუსული ჯარი დგას. რუსეთს აღრეც ჰქონდა მცდელობა, საქართველოსთვის შეეთავაზებინა ე.წ. სამოკავშირეო ხელშეკრულება აფხაზეთთან და სამხრეთ ოსეთთან. ეს პრაქტიკულად სამი სუბიექტისგან შემდგარი ერთიანი სახელმწიფოს გაერთიანებას ნიშნავს. მაგრამ, აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთში უსაფრთხოების გარანტორად რუსეთი გამოდის.

ქართულმა მხარემ უნდა გაარკვიოს, რამდენად არის მზად ევროკავშირი, კოსოვოს პრეცედენტი საქართველოზეც გამოიყენოს. მაგრამ ეს იმ თვალსაზრისით არის საფრთხის შემცველი, რომ რუსეთმა ეს ვითარება უკვე ევროკავშირის მონაწილეობით თავის სასარგებლოდ გამოიყენოს და ყველას, მათ შორის ქართულ მხარესაც იმ რეალობის აღიარება შესთავაზოს, რაზეც მოსკოვი 2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ ჩამოყალიბებულ რეალობას უწოდებს.

— გამოდის, რომ ქართულ მხარეს, კონფლიქტების მოგვარების ორივე, ევროპულ და რუსულ ფორმატებში მოუწევს სოხუმისა და ცხინვალის დამოუკიდებლობის აღიარება?

— ეს არ გახლავთ აღიარება. სერბეთს არა აქვს კოსოვოს აღიარების განზრახვა. ბელგრადი ხელს არ უშლის კოსოვოს ევროკავშირთან ურთიერთობას, რომელიც დე ფაქტოდაც არსებობს. პირიქით, ცდილობს მიიღოს მეტი ავტონომია და უფლებები კოსოვოში იმ სერბულ დასახლებებში, რომ შეძლოს გარკვეული კონტროლის დამყარება იმ რეგიონში, რომელშიც სერბები ცხოვრობენ. ეს სერბული შიდაპოლიტიკისთვისაც მომგებიანი იქნება. სხვა შემთხვევაში ოფიციალური ბელგრადის მიერ გადადგმულ ნაბიჯებს სერბული საზოგადოება ვერ გაიგებს. სერბეთის მხრიდან საუბარი არ არის კოსოვოს აღიარებაზე, საუბარია რეალობის აღქმაზე და პასუხისმგებლობის ევროკავშირზეც გადანაწილებაზე, ანუ, რეალურად სერბეთი კოსოვოს დამოუკიდებლობას არ აღიარებს, მაგრამ, იმავდროულად, ესმის რეალობა, რომელშიც არის, შესაბამისად, ვითარებას სერბეთის ევროკავშირში გაწევრების წინაპირობად განიხილავს.

— ამერიკულ გამოცემა The Christian Science Monitor-ში სტატიის ავტორმა პოლ რიმპლიმ სტატია საქართველოზე ასე დაასათაურა — „სააკაშვილის პარტია რელევანტურობას თავისივე შექმნილ ქვეყანაში ეძებს“. 19 აპრილის აქციაზე საკმაოდ ბევრი აზრი კი გამოითქვა, მაგრამ, თქვენი აზრით, რამდენად რელევანტურია (ფასეულია) „ნაცმოძრაობის“ ქცევა, რა მოუტანა ამ აქციამ რებრენდიგის პროცესში მყოფ „ნაცმოძრაობას“ და საერთოდ ქართულ პოლიტიკას? და კიდევ, რა ხდება „ნაცმოძრაობაში“, რომელმაც მიზნად ეროვნულ მოძრაობად გადაქცევა დაისახა?

— არჩევნებზე „ნაცმოძრაობის“ მარცხზე პასუხისმგებლობა თავის თავზე პრეზიდენტმა აიღო. სააკაშვილი სახელმწიფოს 9 წელი ერთპიროვნულად მართავდა და მისი და „ნაცმოძრაობის“ რესურსი ამოწურულია, ეს არაერთგვაროვნად ცხადია. ამას რაც უფრო ადრე აღიარებს სააკაშვილი და ხელს არ შეუშლის „ნაცმოძრაობას“, მოერგოს ახალ რეალობებსა და ახალ გამოწვევებს, კარგი იქნება. გამოკითხვებიდანაც კარგად ჩანს, რომ ისეთ ზომიერ პოლიტიკოსებს, როგორიც დავით ბაქრაძეა, მეტი რეიტინგი აქვთ, ვიდრე — სააკაშვილს თუ სხვებს, რომლებსაც აქვთ პრეტენზია, იყვნენ „ნაცმოძრაობის“ ლიდერები. არსებულ რეალობას „ნაცმოძრაობაში“ თავადაც კარგად ხედავენ.

ყველა შემთხვევაში, „ქართულ ოცნებას“ მოუწევს იმასთან შეგუება, რა ფორმითაც ქართულ პოლიტიკაში „ნაცმოძრაობა“ დარჩება. წინააღმდეგ შემთხვევაში შემდეგი პერიოდი იმის გადამღერება იქნება, რაც „ნაცმოძრაობის“ მმართველობის ბოლო პერიოდში იყო და ხელისუფლებამ ჯანსაღი პოლიტიკური პროცესის შენარჩუნება ვერ შეძლო.

— პრეზიდენტი აშშ-ში იმყოფება. თქვენი აზრით, პრეზიდენტის ვიზიტის ინიციატორი ამერიკული მხარე იქნებოდა თუ თავად პრეზიდენტი? და კიდევ, ორივე შემთხვევაში რა შეიძლება იყოს ვიზიტის მიზანი?

— პრეზიდენტის კონკრეტული დღის წესრიგი გახმოვანდა. ის ერთმნიშვნელოვნად მიანიშნებს იმაზე, რომ სააკაშვილი ძველ ურთიერთობებს (იქნება ეს ბუში, მაკკეინი თუ სხვები და განსაკუთრებულ ურთიერთობებს რესპუბლიკურ პარტიასთან), კვლავაც გამოიყენებს. ეს ვიზიტი იმის დემონსტრირება იქნება, რომ სააკაშვილს, აშშ-ში მეგობრად და თავისიანად მიიჩნევენ. გარდა ამისა, სააკაშვილს ექნება შეხვედრა ვიცე-პრეზიდენტ ჯონ ბაიდენთან, რომლის ფარგლებშიც ისაუბრებენ მისი და ახალი მთავრობის საქმიანობაზე. სავარაუდოდ, ისინი შეეხებიან თემებს, რომელიც სტრატეგიული თანამშრომლობის თვალსაზრისით, შესაძლოა, საინტერესო იყოს. არ გამოვრიცხავ ამ თვალსაზრისით კულუარულ საუბარსაც.

შესაბამისად, ეს იქნება მეტწილად მხოლოდ სააკაშვილის და „ნაცმოძრაობის“ რესურსი და ვნახოთ, რა შედეგებითა და გზავნილებით ჩამოვა სააკაშვილი ამერიკიდან.

კობა ბენდელიანი

საგარეო და საშინაო პოლიტიკის აქტუალურ საკითხებზე „ინტერპრესნიუსი“ იაპონიაში საქართველოს ყოფილ ელჩს, საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის საერთაშორისო პოლიტიკის ანალიზის ჯგუფის ხელმძღვანელს **ვანო მაჭავარიანს** ესაუბრა.

ⓘ ინფორმაცია

თბილისის საკრებულომ ბიუჯეტის 83 მილიონი ლარით გაზრდას მხარი დაუჭირა

ბიუჯეტის გაზრდას მხარი საკრებულოს 43 წევრმა დაუჭირა, თავი შეიკავა ორმა წევრმა - ფრაქცია „ქართული ოცნება — დემოკრატიული საქართველოს“ ხელმძღვანელმა ზაზა გაბუნიამ და ფრაქცია „ქართული ოცნება — თბილისელების“ ხელმძღვანელმა გულიკო ზუმბაძემ.

ზაზა გაბუნიას განცხადებით, ბიუჯეტში შესატანი ცვლილებების პრიორიტეტები არასწორად არის გადანაწილებული. — წარმოდგენილი ცვლილებების პრიორიტეტებს ჩვენ არ ვეთანხმებით. გრძელდება ტრადიცია, რომ საბიუჯეტო რესურსები ნაწილდება ნაკლებად მნიშვნელოვან საკითხებზე, ხოლო ისეთი საკითხები, როგორიც არის ჯანდაცვა, სოციალური საკითხები, კვლავ უყურადღებოდ რჩება, რის გამოც, ჩვენ მხარი არ დავუჭირეთ აღნიშნულ საკითხს, — განაცხადა ზაზა გაბუნიამ.

როგორც საკრებულოს საბიუჯეტო კომიტეტის თავმჯდომარე თამაზ შოშიაშვილი აცხადებს, ბიუჯეტისთვის გათვალისწინებული 83 მილიონი ლარი ინფრასტრუქტურულ და სოციალურ პროექტებზე გადანაწილდება, მათ შორის 10 მილიონი ლარი გათვალისწინებულია შიდა კვარტალური გზებისა და ეზოებში გზის საფარის მოწესრიგებისათვის. ასევე თანხები დაემატება ავარიული სახლების გამაგრების პროგრამას, ერთჯერად სოციალურ დახმარებებს და ოპერაციებს, ხოლო 36 მილიონი ლარი მოხმარდება დასუფთავების სამსახურის ბიუჯეტს.

თბილისის ბიუჯეტი ამჯერად დაახლოებით 687,405 მლნ ლარს შეადგენს.

ინტერპრესი

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

უსახლკარონი და ძღვენიჭამიები



სილარიბე თავისმოსაწონებელი და საამაყო არასოდეს ყოფილა. ერთხელ იყო მხოლოდ, გასული საუკუნის 20-იანი წლების საბჭოთა კავშირში, როდესაც სოფლის მართვა-გამგებლობა ღარიბთა კომიტეტებს მიანდეს. ერთი ეპიზოდი მახსენდება იმ დროის ამსახველი პიესიდან, რომელიც რუსთაველისა თუ მარჯანიშვილის თეატრის სცენაზე იდგმებოდა. ამ პიესაში ორ მეზობელს ერთმანეთთან ჩხუბი მოუვიდა. ერთმა გაწიწმატებულმა მათგანმა, მეორე გაწიწმატებულს ასე შეუტია: „რას მედიდგულები, თუ იცი შენ? რითი მჯობიხარ ნეტავი, ჩემზე ღარიბი ხარ ვითომ?“

ახლა ეს სასაცილოდ გვეჩვენება, მაგრამ იმ დროს და შემდგომშიც, კარგა ხნის განმავლობაში, სიღარიბე ღირსების საქმედ ითვლებოდა. რევოლუციის მასონურ-სიონისტური იდეოლოგიის გავლენით იყო ეს. კაცზე კარგის თქმა თუ უნდოდათ, აუცილებლად იტყოდნენ, ღარიბ ოჯახში გაიზარდაო. ბევრს ახსოვს, ალბათ, სკოლაში ნიკოლოზ ბარათაშვილს რომ გვასწავლიდნენ, მის ბიოგრაფიაში ხაზგასმით იყო ნათქვამი, ტატო ღარიბი თავადის ოჯახში გაიზარდაო. არადა, მამამისი მელიტონი ქართლის თავადაზნაურთა წინამძღოლი იყო, დედა ეფემია კი ერეკლე მეფეს შვილიშვილად ერგებოდა.

სიღარიბე ქართველთა ცნობიერებაში ერთმნიშვნელოვნად როდი ფასდება. მთლად გაუბედურებულს და გაღლეტილს, რომელსაც საკუთარი საარსებო საშუალების მინიმუმიც კი არ გააჩნდა (მაგალითად, კახელს არ ჰქონდა ვენახი, ქართლელს არ ჰყავდა ხარები, მთიელს - ცხენი და ა. შ.), ბოგანოს უწოდებდნენ და მისდამი პატივისცემა არავის ჰქონდა; ის შეიძლება შეცოდებოდათ მხოლოდ.

ბოგანოზე უფრო მეტად წყალწაღებულებიც იყვნენ, ისინი, რომლებსაც სახლ-კარი, თავშესაფარი არ ჰქონდათ. ასეთებს უსახლკაროებს უწოდებდნენ. ამნაირები ან ვინმეს მოჯამაგირეებად იდგნენ, ან მაწანწალობდნენ. უსახლკაროებს აბსოლუტურად უუფლებოებად მიიჩნევდნენ და კაცთა შორისაც არ მოიხსენიებდნენ.

შემთხვევითი როდია, რომ ჩვენში „ციგანი“ (ბოშა!) სალანძღავი სიტყვაა. შე ციგანოო, კაცს რომ ეტყვი, მეტი შეურაცხყოფა აღარც კი შეიძლება. რატომაა „ციგანი“ სალანძღავი სიტყვა? ციგნები, ვითომ, რითი არიან სხვებზე უარესები? სილამაზით, ნიჭით, ვაჟკაცობით, თუ სხვა რამით? არაფრით! უსახლკარონი არიან მხოლოდ და მაწანწალა ცხოვრებას ეწევიან. მაწანწალას სამშობლო არ აქვს და ამიტომ არ იმსახურებს კაცობრიულ პატივისცემას.

ეს ყველაფერი იმიტომ გავიხსენე, რომ ჩვენში ძალიან მომრავლდნენ უსახლკაროთა შეგნების მატარებელნი, თანაც საზოგადოების ელიტარულ ნაწილში – პარლამენტში, მთავრობაში, პოლიტიკურ პარტიათა ლიდერებს შორის. ნაცების ხელისუფლება ხომ მთლიანად იმნაირებით იყო სავსე.

უბედურება ის კი არ არის, რომ რამდენიმე ათეული კაცი, თუნდაც ჩვენი თანამემამულე, თავს უსახლკაროდ მიიჩნევს. არა! მათ უმრავლესობას მილიონებად ღირებული სახლ-კარი აქვავია. ისინი უსახლკაროდ თვლიან ჩვენს სამშობლოს – საქართველოს. დაეთრევიან მთელ მსოფლიოში და ყველას ჩასჩიჩინებენ, საქართველოს თავისი სახლი, ანუ საცხოვრისი არ აქვს და ახლა ეძებს თავშესაფარსო. ჩვენი სახელით ლაპარაკობენ ეს მაწანწალა და უსამშობლო არსებები. ლაპარაკობენ და მათი ევროპელი და ამერიკელი კოლეგები უსმენენ კიდეც. მოუსმენენ, აბა, რა! ზოგი მათგანი პარლამენტის წევრია, ზოგი მინისტრი, ზოგი კი, ისევ ჩვენი სიბეჩავის გამო, მთლად ქვეყნის უფროსობას იჩემებს.

ჩვენი ხმა ვის ესმის? არავის!

ბოლო ათწლეულია, ამ „უსახლკაროებმა“, სადღაც, დასავლეთ ევროპაში აღმოაჩინეს „საქართველოს სახლი“ და მას შემდეგ შინ და გარეთ გაჰყვირიან „საქართველოს სახლი „ნატოაო“. ვაი მაგათ პატრონს და იმათაც, ვისაც ეს ნაბოდვარი სჯერა!

თქვე დედა და მამაცხონებულებო („უსახლკაროებს“ მივმართავ!), „ნატო“ თუ ჩვენი სახლია, შიგ რატომ არ გვიშვენებენ? ჩვენი სახლი, რა, ცხრათავიან დევებს უკავიათ? დაკარგული კაცი რომ საკუთარ სახლს მიაგნებს, განა ოჯახის წევრები შინ არ შეუშვებენ მას, ვიდრე გარკვეულ პირობებს არ შეასრულებს? ან განათლებას არ მიიღებს, ან კუნთებს არ დაიბრიგინებს! ამნაირი სახლისკენ ვინ მამაძაღლი გაეშურება? ამნაირი სახლიდან ნორმალური ადამიანები გარბიან! ნორმალურები და არა ისეთები, როგორებიც ჩვენი უსახლკაროებისა და მაწანწალური ბუნების პოლიტიკანები არიან.

ჯანდაბას მაგათი თავი და ტანი! მაგათი გამოსწორება არ იქნება! ვერც კოჰაბიტაცია უშველით და ვერც სიკეთისა და შემწყნარებლობის მაგალითები, რასაც ასე უხვად უჩვენებს მათ ახალი ხელისუფლება. რა აჭამეს ასეთი იმ უცხოელმა პატრონებმა, მაცოდინა ნეტავი? მართლა უცხოური ძღვენის ჭამამ გამოაცალათ სული და გული?

ამ დათიკიასა თუ კაკოიას, ვანუასა თუ გიგიას, მართალია ქართული გვარები აქვთ, მაგრამ მათი ჭკუაზე მოყვანის უიმედო საქმეს ხომ ვერ გადავყვებით! ამიტომ, კისერი უტეხიათ და კინჩხიც ზედ მიუყოლებიათ! უნდათ „ნატოს“ ტანკში შემძვრალან და უნდათ სხვისაში. ჩვენ ჩვენს საქმეს მივხედოთ, მაგრამ ისე, რომ ჩვენი წესიერი, გულუბრყვილო და, სამწუხაროდ, გაუცნობიერებელი თანამემამულეების გაბრიყვების საშუალება არ მივცეთ მათ.

ამ „უსახლკაროებისაგან“ ჯერ კიდევ გაცუცურაკებულო ჩემო გულუბრყვილო თანამემამულენო! ნაცებისაგან განსხვავებით, საქართველოს სახლ-კარი საძებარი არ აქვს. იგი თავის საკუთარ სახლში ცხოვრობს უხსოვარი დროიდან და აგერ უკვე, სამი ათასი წელია სახელმწიფოებრიობაც აქვს, მეზობლებიც ჰყავს და მეგობრებიც, მტერიც და მოყვარეც. ჩვენს წინაპრებს მრავალი საუკუნის განმავლობაში საკუთარი სახლ-კარისა და მიწა-წყლის დასაცავად მრავალი ბრძოლა გადაუტანიათ, ზღვა სისხლიც დაუღვრიათ. ასე მოვედით დღემდე და მოვიტანეთ სამი ღვთაებრივი საუნჯე – „მამული, ენა, სარწმუნოება“, რასაც მხოლოდ უზნეო და უჯიშო ნაცების კი არა, არანაირი ცოდვილი ხელი არ უნდა შეეხოს.

ჩემო მოტყუებულო თანამემამულენო, 19 აპრილს, ჰიტლერის დაბადების წინა დღეს რომ შეიკრიბეთ პარლამენტის შენობის წინ, რუსთაველზე, ნაცბანდის ატამანების დაძახილზე, რას უკრავდით ტაშს? ახალ ეროვნულ მოძრაობას ვიწყებთო, ვანუამ და მიშაიამ რომ თქვეს, იმას? ეგ დედაგანათლებულები, გუშინ საქართველოში სინგაპურის აშენება რომ უნდოდათ, ისინი არ არიან? მერე, უეროვნებო სინგაპურზე მეოცნებენი, ახლა ეროვნული მოძრაობის დამწყებად ასაღებენ თავს? თვითონ რომელ ერს ეკუთვნიან, მიწა-წყალი რომ წაართვეს და უცხოელებს უფეშქაშეს, იმ ერს ხომ არა? ან რომელი დემოკრატიის მშენებლები და დამცველები ეგენი არიან? აგერ ახლახან, 26 მაისს, მაგ ადგილზე მომიტინგეები რომ დაასახიჩრეს და დახოცეს, იმ დემოკრატიისა? ამათ უკრავთ ტაშს? რა მოგცეს და რას დაგპირდნენ ამისთანას თვითონ უსამშობლონი და „უსახლკარონი“!

მხოლოდ „ევროპულ ღირებულებებზე“ ფიცის დადება, მით უფრო, რომ ასეთი ღირებულებები ბუნებაში არ არსებობს, საკაცობრიო ოჯახის წევრობაზე ხელის აღებას ნიშნავს, რასაც არც დღევანდელობა და არც მომავალი არ გვაპატიებს.

დაფიქრდით, ჩემო უბედურო თანამემამულენო! მაგათი გზა მოუსავლეთში და არარაობაში მიდის. ფარისევლურად რომ ახსენებდნენ ტრიბუნიდან წმინდა გიორგის სახელს, არ იცით რომ ფარისევლებს ცეცხლი და გეენა ელით? გინდათ, რომ მაგათ ჩაჰყვეთ საფლავში? ნუ იზამთ ამას! თქვენ ღვთივკურთხეული სამშობლოსა და სახლ-კარის პატრონები ხართ და საძებარი როდი გაქვთ თავშესაფარი. მართალია, ჩვენ მთელი კაცობრიობის ნაწილი ვართ და მეგობრები ყველგან შეიძლება მოვძებნოთ – „ვინ მეგობარსა არ ეძებს, იგი თავისა მტერია“, – მაგრამ, ამავე დროს, მუდმივი საცხოვრებელიც გვაქვს და მუდმივი მეზობლებიც გვყავს. არც ის დაგავიწყდეთ, წინაპრებმა რომ ჩაგვაგონეს: „ავი მეზობელი ამომავალი მზეაო!“ (ავიო! კარგი რაღა იქნება!). ჩვენს წინაპრებს ათასობით წლების განმავლობაში მიღებულმა ტკბილ-მწარე გამოცდილებამ ათქმევინათ ეს. ახლა ამ ჭკუიდან გადამცდარი, ან სხვისი, უფრო კი, ჩვენი მტრის ძღვენით გამაძღარი უთვისტომოებისა და უსახლკაროების ნაბოდვარმა არ შეგიცვალოთ რწმენა, თორემ ვეღარას გარგებთ შემდეგ თითზე კბენანი.

ახლა ერთ რამეზეც უნდა ვთქვა, რაც ჩვენი ყოფის მომაბეზრებელ რეალობად იქცა. ეს არის გაუთავებელი ლაპარაკი „ევროპისკენ სწრაფვისა“ და „ევროპული ღირებულებების“ შესახებ. ეს აკერიათ პირზე ოპოზიციასაც და ხელისუფლებასაც. მეტიც. ერთმანეთს ეჯიბრებიან, ვინ უფრო ხშირად და ხმამაღლა იტყვის ამას. ისე, რა გასაკვირია, ჩვენი სახლი თუ ევროპაშია, სახლისკენ უნდა მივისწრაფვოდეთ, აბა! ვისაც ამაში ეჭვი ეპარება, მომაკვდინებელ პოლიტიკურ ცოდვად უთვლიან ამ ეჭვს.

„ევროპისკენ სწრაფვისა“ და „ევროპული ღირებულებების“ ერთგულებაზე კი გაჰკივიან, მაგრამ ერთი ჰკითხეთ რომელიმეს, ანაგებად თუ მაინც ესმით მათი შინაარსი. დემაგოგიურ მოწოდებებს, ლოზუნგებს, საერთოდ, ახასიათებს ეს. მაგალითად, ყველა რევოლუციის ლოზუნგი იყო და არის „თავისუფლება! თანასწორობა!“ ამ ლოზუნგების მიმდევრები აცნობიერებენ კი, თუ რისგან თავისუფლებას ჰპირდება მათ რევოლუცია: მონობიდან, ტყვეობიდან, თუ სამსახურიდან? ან თანასწორობისაკენ მოწოდება რას ნიშნავს? მდიდრებთან გათანაბრებას ჰპირდებიან უპოვართ თუ მდიდრები უნდა გაუთანაბრდნენ პროლეტარებს, როგორც ეს ოქტომბრის რევოლუციას მოჰყვა შედეგად.

„ჩვენ მივისწრაფვით ევროპისკენ!“ კარგი, მაგრამ როგორ? მატარებლით მივდივართ თუ ფეხით? ყველა ერთად, თუ ჯგუფ-ჯგუფად? სტუმრად თუ სამუდამოდ? ამ ლოზუნგის ავტორები თუ იმას გულისხმობენ, რომ მთელი საქართველო მთა-ბარითა და მიწა-წყლიანად აპირებს ევროპაში შესვლას, როგორც წარმოუდგენიათ ეს? გეოგრაფიულად, ჩვენ თუ ევროპა ვართ, მაშინ სადღა მივდივართ? აზიას თუ ვეკუთვნით, მაშინ კონტინენტთაშორისი გეოგრაფიული საზღვრები უნდა შევცვალოთ? თანაც ეს ცვლილება ქუთაისური პარლამენტის ერთხმად მიღებული გადაწყვეტილებით მოხდება? აბა, მითხარით, რაიმე აზრი თუ აქვს ამ „უსახლკაროების“ ძვირფას ლოზუნგს: „ჩვენ ევროპული ქვეყანა უნდა გავხდეთ!“ სხვა საქმეა, თუ ვიტყვით, ჩვენ მაღალგანვითარებული სახელმწიფო უნდა გავხდეთო. მაღალგანვითარებული ქვეყანა ევროპაშიც შეიძლება იყოს და აზიაშიც, ავსტრალიაშიც და აფრიკაშიც. იაპონია თუ აზიაშია, იმიტომ არის პოლონეთზე ან რუმინეთზე განუვითარებელი, აბა! ნაცბანდის ატამანს (შეთავსებით, საქართველოს პრეზიდენტს) სინგაპური რომ სანიმუშოდ მიაჩნდა (ალბათ, ახლაც მიაჩნია!), ეს „სანიმუშო“ შუა ევროპაშია, არა?

ევროპა, აზია, ავსტრალია, ამერიკა გეოგრაფიული ცნებებია და თავისთავად იგი მხოლოდ კლიმატზე შეიძლება მიგვითითებდეს, მაგრამ არანაირად კულტურასა და ცივილიზაციაზე, რაც გარკვეულ ისტორიულ პირობებსა და ფაქტორებზეა დამოკიდებული. იყო დრო, როცა ჩინეთისა და ინდოეთის, ეგვიპტისა და მცირე აზიის კულტურა და ცივილიზაცია ჰყვაოდა, ხოლო ევროპელებმა ჯერ ხელ-პირის დაბანაც არ იცოდნენ და ხორცსაც უმად მიირთმევდნენ. გავიდა საუკუნენი, ევროპა დაწინაურდა, ხოლო ჩამოთვლილი ქვეყნები ჩამორჩენილობისა და სიბნელის ნიმუშებად იქცნენ. ასეთია ისტორიული განვითარების ულოგიკობის ლოგიკა.

ასე რომ, ჩვენი ხელისუფლების უმაღლესი ორგანოს კანონის ძალის მქონე დადგენილების მიღება იმის თაობაზე, რომ ჩვენი მარადიული მიზანია „ნატოში“ გაწევრება და ევროკავშირში ინტეგრაცია, საღ აზრს მოკლებულია. ხვალ რომ ევროკავშირი დაიშალოს (რისი შანსიც ძალიან დიდია!) და „ნატომაც“ ჭირი მოგვჭამოს, როგორც ეს „ვარშავის პაქტს“ დაემართა, ჩვენს „მარადიულ მიზანს“ რა ეშველება მაშინ? ჩვენს მედასავლეთე „უსახლკაროთა“ საფიცარ დიდი ბრიტანეთის ერთ-ერთ გამოჩენილ მოღვაწეს უთქვამს: ინგლისს არ ჰყავს მუდმივი მეგობრები, მას აქვს მუდმივი ინტერესებიო! ეს მაინც უნდა გაიგონ და დაიმახსოვრონ, თანამემამულე სტალინის ნათქვამის გაგება და დამახსოვრება თუ არ შეუძლიათ.

რაც შეეხება „ევროპულ ღირებულებებს“...

ღირებულებათა კონტინენტური კლასიფიკაცია დღემდე ცნობილი არ არის. აი, როგორ განსაზღვრავენ ღირებულებებს ფილოსოფიურ მეცნიერებაში: „ღირებულებანი არის გარემომცველი სამყაროს ობიექტების სპეციფიკური სოციალური განსაზღვრებანი, რომლებიც გამოავლენენ მათს დადებით ან უარყოფით მნიშვნელობას ადამიანისა და საზოგადოებისათვის (სიკეთე, კეთილი და ბოროტი, მშვენიერი და მახინჯი, რაც საზოგადოებრივ ცხოვრებას ან ბუნების მოვლენებს ახასიათებს)“. განა შესაძლებელია აქ მოიაზრებოდეს რომელიმე „კონტინენტური ღირებულება?“ ბოროტება ბოროტებაა აზიაშიც და აფრიკაშიც, ინგლისშიც და ჩინეთშიც („ბოროტი კაცი დანიაშიც ბოროტი არის“ – შექსპირი). სხვა საქმეა, სად როგორია სიკეთისა და ბოროტების გაგება, რაც კულტურისა და ცივილიზაციის დონესა და რელიგიურ მრწამსზეა დამოკიდებული. სხვადასხვა კულტურის დონისა და რელიგიური მრწამსის ადამიანები (და ქვეყნებიც!) ყველა კონტინენტზე შეიძლება იყოს.

ამ „უსახლკაროების“ მოვლინებამდე, როგორც დანარჩენ ცივილიზებულ სამყაროში, ისე ჩვენშიც ღირებულებათა იერარქიაში ყველაფერი გარკვეული იყო: ჩვენ უნდა ვიყოთ საკაცობრიო ღირებულებათა ერთგული! ეს ერთგულება ჩვენს ეროვნულ ღირებულებებს უნდა დაეფუძნოს, ანუ ჩვენი ხატი უნდა იყოს სამშობლო და ეს ხატი ერთიან საკაცობრიო ტაძარში უნდა გვეკიდოს („ჩვენი ხატია სამშობლო, სახატე მთელი ქვეყანა“ – აკაკი). მხოლოდ „ევროპულ ღირებულებებზე“ ფიცის დადება, მით უფრო, რომ ასეთი ღირებულებები ბუნებაში არ არსებობს, საკაცობრიო ოჯახის წევრობაზე ხელის აღებას ნიშნავს, რასაც არც დღევანდელობა და არც მომავალი არ გვაპატიებს.

ადრე ისე ვფიქრობდით, რომ ჩვენს „უსახლკაროებს“ უცხოელი პატრონები გრანტებს აძლევდნენ. სინამდვილეში კი მათი დავალებების გულმოდგინედ შესრულებისათვის ძღვენს უგზავნიდნენ თურმე. ხვალ რომ სხვები უფრო დიდ ძღვენს დაჰპირდნენ ჩვენს „უსახლკაროებს“, ახლა მათი „ღირებულებების“ ერთგულების პარაკლისს გადაიხდიან ისე, რომ „ევროპული ღირებულებები“ აღარც გაახსენდებათ. ასე იცის ძღვენიჭამიაობის ჩვევამ.

და ბოლოს, გთხოვთ, ძღვენიჭამიების მიერ შეცდენილო ჩემო თანამემამულენო: არ დაგავიწყდეთ, რომ ყველაზე მთავარი ღირებულება სამშობლოა. „სამშობლო როგორც უფალი, ერთია ქვეყანაზედა!“ (ვაჟა).

ზურაბ ცუცქირიძე

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

დაპირისპირების შეტანის მცდელობა დაზარალებულ ბინათმფლობელებში, მერიის გაყიდული მიწები და რეალური პერსპექტივა

მკვდრადშობილი დოკუმენტები

კოოპერატიული ბინათმშენებლობით დაზარალებულთა საქმე 1 ოქტომბის არჩევნების შემდეგ, კვლავ აქტუალური გახდა.

გასული საუკუნის 80-90-იან წლებში ბინის მოლოდინით ბევრმა უბრალო ოჯახმა კოოპერატიულ ბინათმშენებლობებში შეიტანა ფული. მაგრამ შემდეგ ყირაზე დამდგარი პოლიტიკური ვითარების გამო სამუშაოები შეჩერდა. კოოპერატიული ბინათმშენებლობა მიავიწყდათ კიდეც. როდესაც მდგომარეობა შედარებით დასტაბილურდა, ბინათმფლობელებმა მთავრობას მიაკითხეს დახმარებისთვის, იმჟამინდელმა პრემიერმა თენგიზ სიგუამ მოუწოდა, ვისაც ბინის ასაშენებელი თანხის მხოლოდ ერთი ნაწილი გაქვთ გადახდილი, სრულად დაფარეთ თანხა, პლუს ათასი რუბლი ჩარიცხეთ გვარდიის (კიტოვანის „არმიის“) ანგარიშზე და საქმე უმალ დაიძვრება მკვდარი წერტილიდანო. მოსახლეობა ენდო სახელმწიფოს, მაგრამ მწარედ მოტყუვდა.

სიგუას შემდეგ დროინდელი ყველა მთავრობა დაზარალებულებს დაპირებებით კვებავდა. არაშენებული სახლების ბინათმშენებლობებმა შექმნეს არასამთავრობო ორგანიზაცია – „საქართველოს საბინაო სამშენებლო კოოპერატივების წევრთა უფლებების დაცვის ასოციაცია“ (თავმჯდომარე ქეთი ოსეყმაშვილი, მოადგილე ნანა წიქარიშვილი). მათ პრობლემისადმი მთავრობის ყურადღების მიპყრობის მიზნით დაიწყეს პერმანენტული საპროტესტო აქციების მოწყობა.

აქციებმა გარკვეულ მიზანს მიაღწია – შევარდნაძემ გამოსცა განკარგულება, რომლის მიხედვითაც, კოოპერატიულ ბინათმშენებლობით დაზარალებულთა ვალები სახელმწიფოს შიდა ვალად გამოცხადდა. მოსახლეობის დაკმაყოფილება დაევალათ ფინანსთა სამინისტროსა და დედაქალაქის მერიას.

ნანა წიქარიშვილის განმარტებით, კუს ნაბიჯებით, მაგრამ საქმე მაინც წინ მიიწევდა. აკმაყოფილებდნენ ერთეულებს. ამ დროს მოუსწრო „ვარდების“ (თუ ეკლების – **ზ. ბ.**) რევოლუციამ.

ხალხის მოტყუებისა და გაბრუების ტალღაზე მოსულმა სააკაშვილმა, დაზარალებულთ წინასაარჩევნო პერიოდში მოცემულ პირობას გისრულებთო და 2004 წელს შექმნა ამ საკითხის შემსწავლელი კომისია. მაგრამ ამის იქით საქმე აღარ წასულა, დაზარალებულებიც აღარ აქტიურობდნენ, მთავრობის დალაგებასა და დანაპირების შესრულებას ელოდნენ მორჩილად.

ისინი კიდევ ერთხელ მოატყუეს. დახმარების მაგივრად, „ნაციონალებმა“, კერძოდ მაშინდელმა ქალაქის მერმა ჭიაბერაშვილმა, ბიუჯეტიდან ამოიღეს დაზარალებულთა დახმარებისა თუ კომპენსაციებისთვის გათვალისწინებული თანხის ერთი ნაწილი.

რეაქციამაც არ დაიგვიანა. დაიწყო აქციები მერიასთან. სპეცდანიშნულების რაზმები უმოწყალოდ არბევდნენ პროტესტის გამომთქმელთ, არ არჩევდნენ ქალს და მოხუცს.

მალე მერის თანამდებობაზე „ჭია“ უგულავამ შეცვალა. მან ამ კატეგორიის დაზარალებულების გრაფა დედაქალაქის ბიუჯეტიდან საერთოდ ამოიღო. უბინაოდ დარჩენილთა მდგომარეობა კიდევ უფრო დამძიმდა. საპროტესტო აქციებს მთელი სიმკაცრით არბევდნენ. როგორც ოსეყმაშვილი ყვება, ერთ-ერთი დარბევის დროს მოხუცებულ კაცს ის სცემეს, რომ ხელში შემოაკვდათ (თუმცა ამის გამო არავინ დასჯილა, სისხლის სამართლის საქმეც არ აღძრულა). გარდაცვლილის თავისი სახლიდან გასვენება ნათესავებმა არ ისურვა. მოხუცი ეზოდან (სახლი გაყიდული და ფული კოოპერატივში ჰქონდა ჩადებული) მეზობლების სამადლოდ გაასვენეს.

უგულავა იმდენად მიკერძოებით ეკიდებოდა დაზარალებულთა საქმეს, რომ ეკონომიკის სამინისტროდან მერიაში წაიღო ყველა დოკუმენტი, რათა უმისოდ ვინმესთვის დახმარება არ გაეწიათ.

საპროტესტო აქციები დარბევა-დაჭერის ფონზე კვლავ გრძელდებოდა – ამბობს ნ. წიქარიშვილი (დევნილთა პატარა ჯგუფმა, რომელთა კორპუსის მშენებლობა შეჩერებულია, „შავი კარკასი“ რაღაცნაირად, საკუთარი სახსრებით ბინას კი არა, სადგომს დაამსგავსა, მაგრამ უგულავა ამასაც არ უკანონებს).

ასოციაციას რომ ვერაფერი მოუხერხა, მერიამ დაზარალებულთა გახლეჩვა მოინდომა და შექმნა დაზარალებულთა ალტერნატიული ა/ო „ცენტრი-ერთობა“. მის ხელმძღვანელად ასევე დაზარალებული ირა გეგეჭკორი დაინიშნა. ამ ორგანიზაციაში 8-10 ოჯახია გაერთიანებული ოსეყმაშვილის 2700-ის საპირწონედ. დაიწყო ჯერ ფარული, შემდგომ ღია დაპირისპირება.

მაგრამ, როგორც ჩანს, უგულავას წინასაარჩევნოდ (2010 წ.) ამხელა მასის დაპირისპირება არ უნდოდა. მისგან მივიწყებული და მოძულებულ ხალხს „კომპენსაციის“ სახით მიწის ნაკვეთების გამოყოფა დაპირდა. არჩევნების წინ 76 ოჯახს დანაპირები შეუსრულეს, 57-ს კი მიწა არჩევნების შემდგომ ორ კვირაში უნდა მიეღო. არჩევნები, როგორც წინათ ყოველთვის ხდებოდა, ნაცებმა მოიგეს. დაპირებული ყველას დაავიწყდა. უფრო მეტი: ვისაც ნაკვეთები მისცეს, ჩამოართვეს და გაყიდეს. ტერიტორია, რომელიც დაზარალებული ბინათმფლობელებისათვის იყო გამოყოფილი და სადაც 4 კორპუსი უნდა აშენებულიყო, გაუმაძღარ ბენდუქიძეს ჩალის ფასად მიყიდეს, რომელიც იქ საუნივერსიტეტო ქალაქს აშენებს.

ბინათმფლობელები, მათი პრობლემები ისევ მიივიწყეს (ეს მერამდენედ!), დაზარალებულებს ყოველმხრივ ავიწროებდნენ. მათი ასოციაცია იდევნებოდა. ერთადერთი, რისი მიღწევაც მოხერხდა, ის იყო, რომ მაშინდელმა პრემიერმა ნ. გილაურმა განკარგულება გამოსცა, რომელიც ფინანსთა სამინისტროს პარალელურად საკითხის მოგვარებას დედაქალაქის მერიასაც ავალდებულებდა. მაგრამ ეს დოკუმენტიც მკვდრადშობილი აღმოჩნდა.

უგულავას თურმე „კეთილი ნება“ ამოძრავებდა

ოქტომბრის არჩევნების შემდეგ სათავეში ახალი ხელისულების მოსვლისთანავე ვითარება რადიკალურად შეიცვალა. გასული წლის დეკემბერში 9 წლის მანძილზე უმოქმედო კომისია ამუშავდა.

ქალაქის საკრებულოს ოპოზიციონერი დეპუტატი (ამჟამად ქალაქის საკრებულოში „ნაცები“ უმრავლესობაში რჩებიან) ჯაბა სამუშია აცხადებს, რომ დაზარალებულთა საკითხის ირგვლივ ინტენსიური მუშაობა მიმდინარეობს. ფინანსთა სამინისტროს გარდა სპეციალურად ბინათმფლობელთა პრობლემების გადასაწყვეტად შექმნილია სამთავრობო კომისია, რომელშიც რამდენიმე მინისტრია შეყვანილი და მას ფინანსთა მინისტრი ნოდარ ხადური ხელმძღვანელობს. მალე დაიდება სამოქმედო გეგმა, რომელიც განსაზღვრავს საკანონმდებლო დონეზე როგორ და რა ვადებში მოხდება დაზარალებულთა დაკმაყოფილება. პრობლემა მალე ვერ მოგვარდება, მაგრამ პროცესი შეუქცევადია – ამბობს ოპოზიციონერი დეპუტატი, იქვე კი დასძენს, მოსახლეობას იმედი გაუჩნდა, რომ მათი ბედით ვიღაც დაინტერესდა.

> **კონფრონტაცია მერიის მიერაა ინსპირირებული, ბოლოს გამოვა უგულავა და იტყვის, ვის დავხმარებოდი ან დავეხმარო, ერთმანეთში ვერ გაურკვევიათ ურთიერთობები!**

იგივეს ამბობს ნანა წიქარიშვილიც: ამდენ ხანს გვითმენია, ცოტასაც მოვითმენთ, რაც მთავარია, გამოჩნდა სინათლე და საქმე მკვდარი წერტილიდან დაიძრა.

ფინანსთა სამინისტროს წარმომადგენელი ბექა ჩხაიძე აცხადებს, რომ სამუშაო შრომატევადია. ამჟამად პირველი ეტაპის დამამთავრებელ სტადიაში ვიმყოფებით. ეს არის სრული სიების ინვენტარიზაცია და პერსონიზაცია. მისი თქმით ფინანსთა სამინისტროში უამრავი წინადადება შედის, რომლებიც ხარისხდება და ერთობლივი სახით წარედგინება სამთავრობო კომისიას.

სამინისტროს წარმომადგენლის განმარტებით I ეტაპი მალე დამთავრდება. როგორც ითქვა, შედეგი წარედგინება სამთავრობო კომისიას, რომელიც გადაწყვეტს შემდგომი მუშაობის გეგმას – აკონკრეტებს ჩხაიძე.

სამუშაო პროცესში, ჯაბა სამუშიას სერიოზული პრეტენზიები აქვს მერთან და მის აპარატთან. კერძოდ, მერია არაფერს აკეთებს დაზარალებულთა დახმარების კუთხით, არადა, ამას ავალდებულებს, როგორც შევარდნაძის განკარგულება (რომელიც არავის გაუუქმებია) ისე პრემიერ ნიკა გილაურის 2009 განკარგულება (რომელიც ასევე ძალაშია), ამას გარდა, მერიამ აიღო ვალდებულება ბინათმფლობელებისათვის ქონებისა და მიწის ნაკვეთების გადაცემის თაობაზე. მერიაში ზემდგომებიდან წამოსულ განკარგულებებს, იგნორირებას უკეთებენ, საკუთარი დაივიწყეს და აცხადებენ, რომ საკითხის მოგვარება ცენტრალურ ხელისუფლებას ევალება. ხოლო დაზარალებულთათვის მიწის ნაკვეთების გადაცემა (რომლებიც შემდგომ ჩამოართვეს და გაუყიდეს – ზ. ბ.) კეთილი ნების გამოხატულება იყო და არა ვალდებულების შესრულება.

„შეფის“ მოსაზრებებს განავრცობს მისი პრესცენტრის ხელმძღვანელი ბაჩო დოლიძე. იგი აკონკრეტებს, როდესაც სახელმწიფომ დაზარალებულ ბინათმფლობელთა საკითხი შიდა ვალად აღიარა, იქვე განსაზღვრა, რომ მათთვის უნდა მიეცათ ფულადი კომპენსაციები, რაც ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროების პრეროგატივაა, მერიის ვალდებულების საკითხი არასოდეს დასმულაო. უგულავას რუპორი ან შეგნებულად ცრუობს, ანდა უმეცარია. ორივე ამას გულგრილობაც ემატება. დაზარალებულთათვის მერიის მიერ მიწის ნაკვეთების ჩამორთმევისა და გაყიდვის თაობაზე ის ასეთ კომენტარს უკეთებს – თუ მსგავსი შემთხვევები მართლაც დაფიქსირდა, შეუძლიათ მიმართონ ქონების მართვის სამსახურს, სადაც შეისწავლიან მომხდარს და შესაბამის განცხადებას გააკეთებენო.

შეგნებულად იტყუება დოლიძე, როდესაც დაზარალებულთა საქმეების კომისიის შესახებ საუბრობს. იგი აცხადებს, კომისიას მუშაობა ჯერ არ დაუწყია და როდესაც შეიკრიბებიან, ჩვენს წარმომადგენელს მივავლენთო. უგულავას თვალმა და ყურმა მშვენივრად იცის, რომ კომისია დეკემბრიდან მუშაობს. როგორც ოსეყმაშვილი და წიქარიშვილი აცხადებენ, კომისიის პირველ სხდომაზე მივიდა მერიის წარმომადგენელი თამარ მათიაშვილი, რომელიც იმ დღის შემდეგ აღარ გამოჩენილა. უგულავას კანტორას არც სხვა პიროვნებით ჩაუნაცვლებია იგი.

რა შეიძლება იყოს დაპირისპირების მიზეზი

ამრიგად, დაზარალებულ ბინათმფლობელთა საკითხი მკვდარი წერტილიდან დაიძრა, ფინანსთა სამინისტროს გარდა შექმნილია სამთავრობო კომისია მთელი რიგი მინისტრების მონაწილეობითა და ნ. ხადურის თავმჯდომარეობით, ამდენი ხნით მივიწყებულ ხალხს იმედი გაუჩნდა, ამუშავდა საბინაო სამშენებლო კოოპერატივების წევრთა უფლებების დაცვის ასოციაციაც, რომელიც შეძლებისდაგვარად ქმედით დახმარებას უწევს ფინანსთა სამინისტროს შესაბამის კომისიას, ებრძვის მერიას. ამ დროს მასთან ბრძოლაში აქტიურად არის ჩაბმული ასევე დაზარალებულ ბინათმშენებელთა ბევრად მცირერიცხოვანი არასამთავრობო ორგანიზაცია, „ცენტრი-ერთობა“, როგორც ქალბატონი ქეთი ოსეყმაშვილი აცხადებს, „ცენტრი-ერთობა“ თუ აქამდე ფარულად ეწეოდა ბრძოლას, ახლა ღია კონფრონტაციაზე გადავიდა.

გასულ კვირას მეცხრე არხის ეთერში გავიდა სიუჟეტი, რომელიც ძირითადად ასოციაციის დისკრედიტაციისკენ იყო მიმართული (ქ. ოსეყმაშვილს ვერ გაუგია, „ერთობის“ ხელმძღვანელს ირა გეგეჭკორს რაში სჭირდება ამის კეთება). სიუჟეტში რესპონდენტებად ძირითადად „ერთობის“ წევრები იყვნენ გამოყვანილი. ისინი ასოციაციასა და მისი თავმჯდომარის მოადგილეს ნანა წიქარიშვილს კომპრომეტირებულად და კორუმპირებულად მოიხსენიებდნენ. ჩვენ არც სახელისუფლებო და არც ეკონომიკური ბერკეტები არ გვაქვს, რომ ვინმეს მის საფასურად დავეხმაროთ: თუ რაიმე გადაწყვეტილებას ვიღებთ, იღებს გამგეობა და არა კონკრეტულად რომელიმე პირი, – გვიხსნის ასოციაციის თავმჯდომარე. გამგეობის გვერდის ავლით რაიმე გადაწყვეტილება რომ მივიღოთ, ყველასთვის უცებ გახდება ნათელი და თვალშისაცემი. ასე რომ, ფარული გარიგებები გამორიცხულია – გვიმტკიცებს ქ. ოსეყმაშვილი.

ნ. წიქარიშვილი ცდილობს, გაგვარკვიოს საქმის არსში. იგი ამბობს, რომ გეგეჭკორმა ორგანიზაცია არც ისე დიდი ხნის წინათ შექმნა და მასში 8-10 პიროვნება თუ იქნება გაწევრებული. ამით მიგვანიშნებს, რომ ასოციაცია ყელში გაეჩხირა უგულავას და მასთან დასაპირისპირებლად სატელიტი ორგანიზაცია შექმნა „ერთობის“ სახით, რომლის უპირველეს მოვალეობას ასოციაციის, მისი თავმჯდომარისა და მოადგილის დისკრედიტაცია, ლაფში ამოსვრა წარმოადგენს. წიქარიშვილის განმარტებით ირა გეგეჭკორის შვილი ცოტნე მეცხრე არხის ჟურნალისტია და მისთვის პრობლემა არ იყო ამ სიუჟეტის მომზადება, – ასკვნის წიქარიშვილი და ამბობს, რომ ამის შესახებ აუცილებლად ჩააყენებს საქმის კურსში მე-9 არხის ხელმძღვანელობას.

ასოციაციაში ვერ გაუგიათ, რას ერჩის მათ გეგეჭკორი და მისი მცირერიცხოვანი რაზმი.

ქ-ნ ირინასთან დაკავშირება ვცადე, მაგრამ ეტყობა, იგი უცხო ზარებს არ პასუხობს.

ჩვენის მხრივ, იმედს გამოვთქვამთ, რომ ორი ანალოგიური პროფილის მქონე არასამთავრობო ორგანიზაცია დაზარალებულთათვის ამ მეტად მნიშვნელოვან პერიოდში ურთიერთდაპირისპირებას დროებით მაინც გვერდზე გადადებს და მთელ ძალისხმევას გაუბედურებული ბინათმფლობელების პრობლემების მოგვარებას მოახმარს.

თორემ, როგორც ექსპერტები ამბობენ, რა გამოდის? კონფრონტაცია მერიის მიერაა ინსპირირებული, ბოლოს გამოვა უგულავა და იტყვის, ვის დავხმარებოდი ან დავეხმარო, ერთმანეთში ვერ გაურკვევიათ ურთიერთობებიო!

ზაზა ბილიხოძე

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

◎ თარიღი

გურამ ფანჯიკიძე – 80

ქართული

გურამ ფანჯიკიძეს, როგორც მეოცესაუკუნელ კარგ მწერალსა და კარგ ადამიანს, არც მტერი აკლდა, არც მოყვარე. მტერში, რასაკვირველია, უფრო მოშურნის ვიწრო თვალი იგულისხმება, მოყვარეში კი — დამფასებელი და პატივისმცემელი.

ერთი ცხადი და აშკარაა: ოცდამეერთე საუკუნის ეს ათწლეული გურამ ფანჯიკიძესთან ერთად უთუოდ სხვა, ბევრად უფრო მძაფრი კალაპოტით წარედინებოდა და უცხო ძალთაგან ავად გალაღებული მმართველი პარტია ასე უტიფრად ვერ წამოაჯდებოდა თავზე პოლიტიკურად მოტყუებულ ხალხსა და ქვეყანას. ქართველ მწერალთა საზოგადოება გურამ ფანჯიკიძის მეთაურობით აგრერიგად სათამაშოდ არ გახდიდა ქვეყნის ბედს ვითომ ხალხის გასაბედნიერებლად მოფაფხურე ხელისუფლებას. ერთი სიტყვით, ირმებად გადაქცეულ ქართველ მწერლებს ლომი აღარ ედგათ სათავეში და მწერლის საზოგადოებრივმა ავტორიტეტმა და ხელისუფლებაზე ზემოქმედების ძალამაც თვალცხადლივ იკლო. ალბათ, ერთ-ერთი მიზეზი ესეც იყო, რომ ანტიხალხური ხელისუფლების მხრიდან ასე წამლეკავი ძალით გადმოხეთქა თავხედობამ და უტიფრობამ.

კვირას, 28 აპრილს, ჩვენს ეროვნული ბიბლიოთეკის დიდ დარბაზში მადლიერი, წიგნის ტრფიალი საზოგადოება გურამ ფანჯიკიძის — ქართული მწერლობის ამ ჭეშმარიტი რაინდის 80 წლისთავს აღნიშნავს. ქვემოთ მკითხველს ვთავაზობთ რამდენიმე მასალას იმ კრებულიდან, რომელიც „მერანმა“ მწერლის დაბადების 65-ე წლისთავის გამო გამოსცა (მარდალეიშვილის წერილის გარდა). სრულიად თამამად შეიძლება იმის თქმა, რომ დღევანდელი დღე, 28 აპრილი, ამ სულითა და ხორცით მებრძოლი ქართველის — გურამ ფანჯიკიძის დღეა, მარადიული ხსოვნის დღე.

ამიტომ არის, რომ მთელი მადლიერი მკითხველი საქართველო ფეხზე ამდგარი სვამს გურამ ფანჯიკიძის მარადმოქმედი შემოქმედებისა და ასევე მარადმოქმედი სამაგალითო ვაჟკაცობის სადღეგრძელოს!

ძმაო გურამ!

სიტყვით გასწვდი სიტყვის კოსმოსს,
რწმენით ლეწავ მწერლურ კალოს, –
კვლავაც „გეთვალპატიოსნოს“,
გებრწყინოს და „გესპირალოს“!

გვირგვინს „შარავანდიც“ გადგამს,
არ მორჩილებ არცერთ კანონს, –
ბუშ-ბეიკერს კი არა და
კლინტონს უნდა მოგესალმოს.

გძრავს საქვეყნო საქმე ნაღდი,
ვინ აგიხვევს ვაუკაცს თვალებს, –
მახსოვს, რვა ბოთლ ღვინოს სვამდი,
თუ გაჭირდა, ცხრასაც დალევ?!

ჰფლობ „ლიტ-გაზეთს“,
„ცისკარს“,
„მნათობს“,
შენთვის ყვავის ბაღში ნუში, –
ღმერთმა ხელი მოგიმართოს,
საქართველოს სამსახურში!

მორის ფოცხიშვილი

ცხოვრების შუაგულში

ბარგად მახსოვს გურამ ფანჯიკიძესთან შეხვედრა ოცდახუთი წლის წინათ ჟურნალ „ცისკარში“. **შემოვიდა ენერგიული, ხალისიანი, მოძრავი, სიცოცხლით სავსე...**

მიუხედავად სოლიდური ასაკისა, კვლავაც ისეთივე ენერგიული, ხალისიანი, მოძრავი და სიცოცხლით სავსეა. თითქოს წლებს ვერაფერი დაუკლიათ. ეს თვისებები ზემოქმედებენ მის ახლოს მყოფზე, შეურიგებლობის წადილით ავსებს. ხასიათის ეს თვისებები ადეკვატურად არის გამოხატული მის შემოქმედებაშიც. უაღრესად არის გამძაფრებული მასთან თანამედროვეობის განცდა. მოთხრობა, რომანი, პუბლიცისტური წერილი დღევანდელი მსოფლიოს შეგრძნებით არის აღბეჭდილი. უყვარს თანამედროვეობის დინამიკა, მდუღარე ცხოვრება, ოცდამეერთე საუკუნის მოახლეებული რიტმი, ცივილიზაციის გუგუნი, თავბრუდამხვევი სისწრაფე, ძვირფასია მისთვის ტექნიკური ცივილიზაციის ფაქტურაც კი. იგი იღებს ახალ ცხოვრებას, ცხოვრებას, რომელიც მოდის ტექნიკური რევოლუციებით, ფანტასტიკას გატოლებული აღმოჩენებით, სწრაფცვალებადი და სწრაფგანახლებადი შინაარსით. არ ელოდება, მიეშურება თავად ამ ახალი რიტმის შესაგებებლად, განსაცდელად, შესაცნობად.

გმირებსაც შესაფერისს ირჩევს, მსგავსს, თავისი სულის შესატყვისს. ასეთები არიან „მეშვიდე ცის“, „თვალი პატიოსანის“, „აქტიური მზის წელიწადის“, „სპირალის“... პერსონაჟები – ცივილიზებული მსოფლიოს შვილები – ქართველები, რომლებიც ორგანულ ნაწილებად გვევლინებიან იმ ცივილიზაციისა.

ამიტომ ჰყავდა და ჰყავს ბევრი მკითხველი. უპირველეს ყოვლისა, თანამედროვეობის განცდით ამყარებს მკითხველთა უწყვეტ კონტაქტს, მკითხველთან ერთად აღიქვამს და განიცდის ადამიანთა დღევანდელ სამყაროს – თავისი თანამდევი ცოდვებით, ვნებებით, მისწრაფებებით, სულისკვეთებით.

არ ხატავს იდეალურ გმირს, ხატავს ჩვენს ირგვლივ არსებულ სიცოცხლით სავსე რეალურ ადამიანებს, დღევანდელ ქართველებს. მათ სიყვარულს, სიძულვილს, ზოგჯერ გაუტანლობას და დაუნდობლობას. არ ალამაზებს, როგორიცაა, ისეთად წარმოგვიდგენს. მკითხველიც ცნობს თავის თავს, თავის ყოფას, სულიერ წიაღსვლებს და მიჰყვება, აინტერესებს, რადგან მისია ეს ცხოვრება. ნაწარმოებთა სიუჟეტის მამოძრავებელი მხატვრული ლოგიკაც რეალისტურია, მკაცრია, ზუსტია.

მწერლის ხასიათს სრულად გამოხატავს, აგრეთვე, მისი პუბლიცისტიკა. სიმართლის თქმის უნარი სოციალისტურ ეპოქაში იშვიათი თვისება გახლდათ (დღეს ყველას აღმოაჩნდა იგი!). მისი რომანი ამბობდა სიმართლეს, ძნელად გასატან და დასაბეჭდ სიმართლეს, პუბლიცისტური წერილი მით უმეტეს გაშიშვლებულ სიმართლეს აწვდიდა მკითხველს, საკითხთა წრე ფართოა, მოიცავს ცხოვრების მრავალ სფეროს და მეცნიერების მრავალ დარგსაც. ედავებოდნენ, ედავებიან, უპასუხებდა, უპასუხებს. მისი პუბლიცისტიკის თემატიკა და შინაარსი ითხოვდა სიმძაფრეს, ბუნებითაც ასეთია და ამ სიმძაფრის კვალით არის აღბეჭდილი ყველა წერილი. ბევრი წერილი გახმაურდა, რადგან შეუძლია წეროს ნათლად, ლოგიკურად, შთამბეჭდავად. საკითხებს მუდამ ირჩევდა პრობლემატურს და თამამად გამოთქვამდა მოსაზრებებს, ბუნებრივია, ხშირად იქმნებოდა პოლემიკური სიტუაციებიც და მზად იყო პოლემიკისთვის... ერთი სიტყვით, არ ემალებოდა სტრესებს, არ გაურბოდა ტკივილებს და ყოველივე ამის წყალობით მოქცეული იყო და მოქცეულია ახლაც ჩვენი ბოზოქარი ცხოვრების შუაგულში.

ესე შეჰფერის თანამედროვე ქართველ მწერალს. მას უყვარს ასეთი პოზიცია!

დღეს ტკივილების დრო დაგვიდგა. მწერლობა, კარგა ხანია, გრძნობდა ამ დღეების მოახლოებას! ახლა მთავარია გრძოლა. მწერლის გრძოლაც კვლავ მთავარია და ამ შემთხვევაშიც არ გაურბის გურამ ფანჯიკიძე ტკივილებს, სტრესებს...

მალე დამთავრებულიყოს ეს გრძოლა, მალე გაემარჯვებინოს ქართველ ხალხს. ამაზე უკეთესს ვერაფერს ვუსურვებ გურამ ფანჯიკიძეს...

ჯანსუღ ღვინჯილია

მთლიანი პიროვნება

ძმაო გურამ!

სიცოცხლეში ქათინაურების მოსმენა არ გიყვარდა. არც მე მიყვარს ხოტბათა სმენა და სხვათა მიმართ ქების სიტყვათა ფრქვევა. ვნანობ, რომ ცოცხალს არ გესმის ეს საფიცარი!

შენ იცი, რამდენი და როგორი უახლოესი მეგობარი ვიგლოვე და გავაცილე უმჯობეს სამყაროში. წავიდნენ და დამტოვეს თითქმის მარტოკაცი და მიუსაფარი. მიუსაფარი, რადგან სულსაც ხომ სჭირდება საყდარ-საფარველი. გადაჭარბებაში ნუ ჩამომართმევ, მათი წასვლის შემდეგ შენთან ვპოვებდი ამას. წავიდნენ, მაგრამ უნდა შემოგფიცო, მათგან არც ერთს არ ვგლოვობ ისე, როგორც შენ გგლოვობ და იმიტომ კი არა, რომ მე და ისინი ერთმანეთს კლდედ ვუდექით და ვპატრონობდით და არც იმიტომ, რომ შენი სახით მზრუნველი, მოამაგე და პატრონი დავკარგე. სრულიადაც არა, მხოლოდ მე და შენ არაფერ შუაში ვართ. შენ საქართველომ, ერმა დაგკარგა, როგორც ქართული მწერლობის წინამძღოლი და მედროშე. წინამძღოლი – ჩვენივე არჩევანითა და დავალებით; მედროშე – ზეგარდმო ბოძებული უნივერსალური ტალანტით.

უწმინდესისა და უნეტარესისგან მაქვს გაგონილი, – ღმერთი უმძიმეს ტვირთს უძლიერესთ ანიჭებსო. უძლიერესი იყავი და ამად გარგუნა ღმერთმა სამსახურის ტვირთი, შემოქმედების უღელი, მოყვასზე ზრუნვისა და ამაგის მოთხოვნილება, ძმაკაცებისა და მეგობრების თავგამოდებული სიყვარული, ერთგულება და ის დიდი ნიჭი, „ნაღდი ქართველი კაცობა“ რომ ჰქვია.

ენამჭევრი, გონებამახვილი, ოხუნჯი, ხუმარა კაცი იყავი და, ამასთან ერთად, მიზანმიმსწრაფი, მშრომელი, დაუღლელი, მებრძოლი. არ დადგებოდი, სანამ არ გაიმარჯვებდი.

არ იყო ჩვენს სამშობლოში გასაჭირი, რომელსაც შენი მკაფიო და მკაფავი სიტყვით არ გამოხმაურებოდი, აღარას ვამბობ შენს წიგნებზე, ქართულ ლიტერატურაში მიმართულება და ეპოქა რომ შექმნეს.

ჩვენ დაახლოებით ოთხი ათეული წლის მანძილზე ვაკვირდებოდით ერთმანეთს და მიკვირდა, როგორ იტევდი ერთი კაცი ამდენ კეთილ თვისებას, რაც ზემოთ მოვიხსენიე და, ღმერთო ჩემო, კიდევ რამდენს, რაც გამომრჩა. ხშირად წერენ, მავანი კაცი მთლიანი პიროვნება იყოო. ბევრი არავინ მეგულება წასულთა თუ დღევანდელ საქართველოში მოღვაწე კაცთაგან, ვინც ამდენ საოცარ თვისებას შენსავით ერთად ატარებდეს თავისთავში, მთლიანი პიროვნება ის გამოთქმაა, სხვაზე მეტად შენზე რო არის მორგებული.

ეეჰ, ძალიან დაგვაკლდი, ძმაო გურამ, ძალიან!

* * *

გურამ ფანჯიკიძე ჩემთვის მხოლოდღა მწერალთა კავშირის თავმჯდომარე კი არა, იგი ჩემი უახლოესი მეგობარი და თანამოკალმე იყო. მეგობარი, ცოტა ნაკლულად არის ნათქვამი. ერთხელ ეს უკვე ვთქვი ნოდარ ჩხეიძის საფლავთან „წახვედი და წაიღე ჩემი სიცოცხლის ნაწილი“, ეს მთლიანად გურამსაც, გურამის წარსულსაც ეკუთვნის. იშვიათად რომ ვინმეს ჩემზე იმდენი ამაგი და ზრუნვა გაეწიოს, როგორც გურამმა გამოიჩინა. მისი წასვლით ქართულმა მწერლობამ დაკარგა დიდი მწერალი და პუბლიცისტი, ქართველმა ერმა – მოღვაწე და პირუთვნელი მა-

ძმები გურამ და თემურ ფანჯიკიძეები მშობლებთან ერთად

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

◎ თარიღი

მწერლობის რაინდი

მულიშვილი, და, მე, ჭაბუა ამირეჯიბმა – ჩემი სიბერისა და გასაჭირის უპირველესი თანამდგომი.

მე არ მახასიათებს ცრემლი და ტირილი.

გურამი მე ცრემლით ვიტირე.

ჭაბუა ამირეჯიბი

მაღალი სულიერება

დიდ ტკივილს ხშირად მოულოდნელობის ფაქტორიც განსაკუთრებულად ამძიმებს ხოლმე, მაგრამ ასეთი პიროვნების, შემოქმედის, საზოგადო მოღვაწისა და ჭეშმარიტი მამულიშვილის დაღუპვისგან გამოწვეულ ჩვენს მწუხარებას სიკვდილის ფორმა ვერც დაამძიმებს და ვერც შეამსუბუქებს.

ძნელია შეეგუო აზრს, რომ ამიერიდან ჩვენს გვერდით ფიზიკურად აღარ იქნება ადამიანი, რომელიც მიუხედავად ღრმა სულიერებისა, ისე უხდებოდა და ეიმედებოდა მიწას, როგორც ფესვგამჯდარი, ბარაქით სავსე ქართული ვაზი.

გურამ ფანჯიკიძის სიცოცხლე ყოველგვარ მიწიერ მანკიერებასთან ბრძოლაში გაილია. მისი სიტყვა, კალამი,მოქმედება მაღალ სულიერებას დამორჩილებული ადამიანის ფსიქოლოგიით იყო მონუსხული და მთელი არსებობის მანძილზე ამტკიცებდა კიდეც სიტყვისა და საქმის განუყოფლობის აუცილებლობას. იგი ქართულ მწერლობას და არა მხოლოდ მწერლობას, ყველა მოქალაქეს აძლევდა სამშობლოს ერთგულების და სიყვარულის, მისთვის თავგანწირვის შეუცვლელ მაგალითს. მიუხედავად მაღალი სულიერებისა, როგორც უკვე აღვნიშნე, მას არასოდეს არ დაუკარგავს მიწასა და ცას შორის ჰარმონიული არსებობისთვის შინაგანი წონასწორობის გრძნობა და არასოდეს გასჩენია სურვილი, მავანისა და მავანის მსგავსად, უცხოსავით შორიდან თუ სიმაღლიდან ეცქირა მშობლიური ვაზის ცრემლისთვის პირდაპირი და არაპირდაპირი გაგებით.

წავიდა ჩვენგან ჭეშმარიტი მამულიშვილი, დიდებული შემოქმედი, საზოგადო მოღვაწე, ნათელი პიროვნება, სიმართლისთვის სიტყვაშემართული კაცი. კიდევ ერთი ვაუკაცი მწერლის გულისცემა შეიერთა ზღვის გულისცემამ მარადიული სიცოცხლისთვის.

ელგუჯა ამაშუკელი

სხვათაბედა

რატომღაც ისე მოხდა, გურამის სიკვდილი არ გამკვირვებია. გამაოგნა, თავზარი დამცა, შემძრა, მაგრამ არ გამკვირვებია. ის სწორედ ასე, მოულოდნელად, ტრაგიკულად უნდა დაღუპულიყო საღმე ბრძოლის ველზე ან სტიქიასთან ბრძოლაში. აკი ამბობდნენ კიდეც გულშემატკივართაგან ზოგ-ზოგნი, ზღვა წყნარი და მშვიდი რომ ყოფილიყო, არც შევიდოდაო... აგვისტოს იმ საშინელ დღეს ზღვა თურმე მართლაც კარგა გვარიანად ღელავდა.

მეორე დღეს რაჭაში აპირებდა დასასვენებლად წასვლას. იქიდან მერე ქობულეთში გადავალო. ბოლო რამდენიმე წელიწადი სექტემბერს თითქმის ყოველთვის ერთად ვატარებდით ქობულეთში. რასაც მე იქ ვუყურებდი, მხოლოდ სიყვარულის დღესასწაულის დარქმევა შემიძლია. აი, ეს სიყვარულის დღესასწაული ახლდა გურამს სულ მუდამ თან. ზოგს ღლის ეს დღესასწაული. გურამს ვერ ერეოდა, ვერ ღლიდა. პირიქით, თუ შეიძლება ასე თქმა, გურამი ღლიდა დღესასწაულს...

ერთმა ჩვენმა საერთო მეგობარმა რევაზ გოგელიამ გაცილება მოუწყო „თამარიონში“, ასევე ჩვენ საერთო მეგობარ დადაშასთან. რახან ხვალ რაჭაში მიდიხარ, გზა უნდა დაგილოცოთო. გურამი თავის რამდენიმე თაყვანისმცემელთან ერთად მოვიდა. ის საერთოდ მარტო არ დადიოდა. პურის ჭამა იმისთვის მარტო პურის ჭამა არ იყო. მე ახლა ვნანობ, რატომ არავინ არ ვიწერდით, რასაც ის სუფრასთან, მეგობრებში ლაპარაკობდა. გურამს თავისი ფილოსოფია ჰქონდა. არიან მწერლები, რომლებიც ოდენ თავიანთი ნაწერებით ელაპარაკებიან ადამიანებს, არავითარი პირადი ურთიერთობა არა აქვთ ხალხთან. გურამი პირიქით იყო. ის თითქოს ადამიანებთან, ხალხთან ყოველდღიური ურთიერთობით იმუხტებოდა. ბოლო ორი თუ სამი ათეული წლის მანძილზე ჩვენში არ ყოფილა მეტ-ნაკლებად მნიშვნელოვანი მოვლენა, რომლის მონაწილეც გურამი არ ყოფილიყო, თანაც უმუალო მონაწილე. ზემოთ სიყვარულის დღესასწაული რომ ვახსენე, გურამს ეს მხოლოდ თავისი წიგნებით არ ჰქონდა მოპოვებული. ის ადამიანთა ქომაგად დაბადებული კაცი იყო, სხვათა ჭირის გამზიარებლად და სხვათათვის ხელის აღსაპყრობლად დაბადებული.

დღეს, როცა ამას გურამის დაღუპვის შემდეგ ვწერ და „თამარიონში“ შეხვედრას ვიხსენებ, მაგონდება, რომ იმ საღამოს გურამი ძალიან ბევრს ლაპარაკობდა ხან საქართველოზე და ხან სიკვდილზე. მე ეს ადრეც შემიმჩნევია. ის ძალზე თავდაუზოგავი იყო. პირადად ჩემზე ბოლო რამდენიმე ბედითი წლის განმავლობაში ისეთ შთაბეჭდილებას ახდენდა, თითქოს სიკვდილთან პირისპირ შეყრა სურდა. თითქოს ეძებდა კიდეც სიკვდილს. კაცი, რომელიც სიცოცხლისა და ცხოვრების სუყოველ კუთხე-კუნჭულში ბრძნულად იყო ჩახედული, ახლა თითქოს სიკვდილშიც ჩახედვის ჟინს შეეპყრო. ეს ჩემი პირადი აზრია, მე ასე ვხედავდი, იქნებ ვცდები კიდეც...

გურამ და დალი ფანჯიკიძეები

ერთხელ ერთმა ხაშურელმა სვანმა მეგობარმა გურამს შვილის ქორწილში თამადობა სთხოვა. გურამი იმხანად ჩაკეტილი იყო (იცოდა ხოლმე ასე, როცა სამუშაოდ ჩაჯდებოდა). როგორც თვითონ ამბობდა, მარხულობდა. თანაც იმ შაბათს რომელიღაც დიდ თათბირზე სიტყვა უნდა ეთქვა (მოგეხსენებათ, ჩვენში კვლავ გამოცოცხლებული თათბირობანას სენი). მაგრამ მოპატიჟედ თავის ფეხით მოსულ მეგობარს რატომღაც უარი არ უთხრა და ჩვენი მეგობრის პოეტ დავით ტიგინაშვილის მანქანით წავედით.

ქორწილმა გურამის მადლიანი თამადობის წყალობით, რასაკვირველია, ქორწილად ჩაიარა, ჩინებული, გამორჩეულ ქორწილად, მაგრამ ის ქორწილიც ისევ გურამის სიყვარულის დღესასწაულად იქცა. საქართველოში თითქოს პოეტებს უფრო სწყალობთ ბედი, ვიდრე პროზაიკოსთ, მაგრამ რაც მე იქ გურამის შემოქმედების ცოდნა და სიყვარული ვნახე, ნურცერთი პოეტი ნუ დაიტრაბახებს თავის სახელიანობას. ამიტომაც მოიშველია თავისი ჩვეული ორლესული იუმორი, ცოტა არ იყოს, უხერხულად თავნაგრძნობმა თამადამ: ხალხო, ქორწილი მკითხველთა თავყრილობად ნუ გადამიქციეთო. იმ დღეს გურამს წვეთი არ დაულევია. უღვინოთაც იცოდა ეშხში შესვლა, მაგრამ სიყვარულით კი ნამდვილად უზომოდ იყო მთვრალი.

ბოლოს, თამადის სადღეგრძელო რომ დაილია, აბა იქ ითქვა, თუ ითქვა. ზოგმა რა გაახსენა გურამს, ზოგმა რა მოაგონა. შვილი გადამირჩინეო, სამართალი მაპოვნინეო, ხელი გამიმართეო. შვილიშვილის მონათვლაზე უარი არ მითხარიო, მე ახლა მკვდარი ვიქნებოდი, შენ რომ ჩემთვის ექიმები არ დაგეხვიაო, ჩემი გულისთვის, მგონი, მინისტრი გადაიმტერეო. ბევრი რამ ამ ნათქვამთაგან გურამს, რასაკვირველია, აღარც ახსოვდა, ანდა, რომ ნდომებოდა კიდეც, როგორ დაიმახსოვრებდა იმდენ სიკეთეს, რაც იმან ამ უბარაქო, სასტიკ წუთისოფელში თესა.

ამ მცირე ჩანაწერის სათაურად გამოტანილი სიტყვაც პირველად იქ, ხაშურში, გავიგე. ქორწილის მონაწილე ერთმა მადლიერმა მკითხველმა, რომლისთვისაც გურამს სამართალი ეპოვნინებინა, გურამს სიყვარულით სხვათაბედა უწოდა: მე თიანელი კაცი ვარო, აქ, ამ ქორწილში, შემთხვევით მოვხვდიო, სანამ ცოცხალი ვარ, შენი სიკეთე არ დამავიწყდებაო, უსამართლოდ დაჩაგრულ თუ საერთოდ სხვათა ბედზედ გადაგებულ შენისთანა კაცს ჩვენს სხვათაბედას ვეტყვითო, შენ ნამდვილი სხვათაბედა ხარო.

აი ასე დაანათლა ხალხმა გურამ ფანჯიკიძეს, ჭეშმარიტ ქართველ ვაუკაც მწერალსა და გულიან მოქალაქეს, კიდევ ერთი ახალი ზედგამოჭრილი სახელი.

გურამ ფანჯიკიძის ადგილი ქართულ მწერლობაში გურამის ნააზრევის მოლოდინში იყო. ასე რომ, ამ მართალ ნააზრევს იმთავითვე ჰქონდა განსაზღვრული ეს თავისი სამუდამო ადგილი.

გურამ გოგიაშვილი

ვისაც გარდაცვლილს ვერც კი წარმოიდგენ

გურამ ფანჯიკიძე იმ ადამიანთა რიგს განეკუთვნება, ვისაც გარდაცვლილს ვერც კი წარმოიდგენ. მას იმდენი ენერგია ჰქონდა და კიდევ ბოროქარი შეურიგებლობა ყოველივესადმი, რაც ცხოვრებას ხელს უშლის დაემსგავსოს ცხოვრებას. როგორ სძულდა ყოველივე მკვდარი, ცოცხლად რომ მოჰქონდა თავი და, ამასთანავე, აღსავსე იყო მოკრძალებული, თითქმის ბავშვურად მტკივნეული სინაზით ადამიანებისადმი. სიცოცხლის ასეთი სიყვარული მხოლოდ მეომრებს ახასიათებთ.

ოდესღაც, თავის სახლში, მაჯიდან საათი შეიხსნა და მაჩუქა. ეს საათი ახლაც მუშაობს და მეჩვენება, რომ მისი გული ფეთქავს.

საქართველო კიდევ იქნება ისეთი, მას რომ სურდა ენახა. რუსეთიც და საქართველოც წარმოუდგენელია დიდი ლიტერატურის გარეშე და არა მხოლოდ წარსულის, არამედ მომავლის ლიტერატურისაც. და ორივე ლიტერატურა გადარჩება, მიუხედავად იმ დიდი განსაცდელისა, რაც ბედმა ჩვენს ხალხებს დაატეხა თავს, გადარჩება, სწორედ ისეთი ღირსეული, კეთილშობილი და დიდი მეომრების წყალობით, როგორიც გურამ ფანჯიკიძე იყო.

ევგენი ევტუშენკო
ოლლაჰომა

ის კაცი იყო...

ეგი გამორჩეული იყო – მწერლური ნიჭიერებით, მამულიშვილური შემართებით, ნაღდი მამაკაცური თვისებებით... მისი მხატვრული პროზა, მისი პირველივე რომანი „თვალი პატიოსანი“ სრულიად განსაკუთრებული სიტყვა გახლდათ იმ დროს, გაჯერებული – მწერლური გაბედულებით, დასახლებული – „ახალი“ გმირებით... „წაიკითხე, ფანჯიკიძე, რა მაგარ რაღაცებს წერს, კაცო?! ყოჩაღ ძმაო!“ ხშირად გაიგონებდით იმ დროს, ხოლო მის უმძაფრეს პუბლიცისტიკას არ გამორჩენია არც ერთი საქვეყნო ჭირ-ვარამი – გულმხურვალედ ნაფიქრი და ნაწერი...

1997 წლის აგვისტოში გურამი ზღვამ შეიწირა... ასეა, „რაცა ღმერთსა არა სწადდეს, არა საქმე არ იქნების!“

...სიიუჟეტს შევცქერი „მაესტროზე“ – საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი მაია ფანჯიკიძე საქართველოში ეპატიჟება ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანს... როგორი სათნოება, როგორი სიდარბაისლე... რა იქნებოდა მოსწრებოდა გურამი ამ დღეებს, მაიას სანაქებო სახელმწიფო მოღვაწეობას, ნიჭიერი მხატვრის – ლაშას უკეთეს და უკეთეს ნამუშევრებს, ნათიას განსაკუთრებულ საქმიანობას – ფსიქორეაბილიტაციის ცენტრ „კამარას“ ხელმძღვანელობას... „ბატონი სიძის“ – ნათიას ვაუკაცი მეუღლის, საქართველოს თავდაცვის მინისტრის ირაკლი ალასანიას პატრიოტულ შემართებას! დარწმუნებული ვარ, გურამის კაცობაც ატყვია მათ გზა-სავალს...

... და უნთებს ყოველ დილით სანთელს გურამის ხსოვნას, უკვე თხუთმეტი წელიწადია ცალად დარჩენილი ერთგული მეუღლე დალი კოკაია-ფანჯიკიძისა – გერმანული კლასიკის ბრწყინვალე მთარგმნელი და ლიტერატურათმცოდნე... რა თქმა უნდა, გაუნელებელ სევდას, ხანდახან, სიხარულიცა და სიამაყეც ცვლის შვილების წარმატებების გამო.

რა იქნებოდა, გურამიც მოსწრებოდა ამ დღეებს...

ვილენ მარდალეიშვილი
2013 წლის აპრილი

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

◎ რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

ივანიშვილი: ვოცნებობ მოვაწესრიგო ურთიერთობა რუსეთთან და შევუერთდეთ ნატოს

როგორც საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ბიძინა ივანიშვილმა განაცხადა, მისი „დიდი ოცნებაა“ საქართველო-რუსეთის ურთიერთობის მოწესრიგება. ამასთან ერთად, დარწმუნებულია ივანიშვილი, ამ პრობლემის გადაწყვეტაში საქართველოს საერთაშორისო დახმარება სჭირდება.

„ამ რთულ პროცესში, როგორც არასდროს, საქართველოს სჭირდება საერთაშორისო თანამეგობრობის მაქსიმალური ჩართვა, კერძოდ, ევროპელი პარტნიორებისა, და მიზანდასახული მხარდაჭერა“, — განაცხადა ივანიშვილმა 23 აპრილს, როდესაც გამოდიოდა სტრასბურგში ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეის სხდომაზე.

ამავე დროს, მან ხაზგასმით აღნიშნა, რომ **„თბილისსა და მოსკოვს შორის დაწყებულმა დიალოგმა არ უნდა შექმნას ისეთი შთაბეჭდილება, თითქოს საქართველო დამოუკიდებლად მოაწესრიგებს ამ პრობლემას რუსეთთან და უკვე აღარ სჭირდება მხარდაჭერა პარტნიორების მხრიდან“.**

ივანიშვილმა აღნიშნა, რომ საქართველოს პოზიცია რუსეთთან ურთიერთობაში „იქნება პრინციპული, მაგრამ კორექტული“. ამავე დროს, საქართველოს მთავრობის ხელმძღვანელმა მიუთითა, რომ, მიუხედავად მთავრობის შეცვლისა ქვეყანაში, საქართველოს დასავლურ ორიენტაციას „ალტერნატივა არ გააჩნია“, ვინაიდან ინტეგრაცია ევროკავშირსა და ნატოში ქართველი ხალხის არჩევანია და არა რომელიმე კონკრეტული პოლიტიკური ჯგუფისა.

აღსანიშნავია, რომ გარდა ავღანეთში ნატოს სამშვიდობო მისიაში მონაწილეობისა, 24 აპრილს საქართველომ ჩრდილოატლანტიკურ ალიანსს შესთავაზა გამოიყენოს ჯერ ისევ მშენებარე რკინიგზა ბაქო-ახალქალაქი-ყარსი ტვირთის უკუტრანზიტისთვის ავღანეთიდან 2014 წელს სამშვიდობო მისიის დამთავრების შემდეგ.

ამის შესახებ მასობრივი ინფორმაციის საშუალებებს აცნობა საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრმა მაია ფანჯიკიძემ ბრიუსელში სამშვიდობო მისიის მონაწილე ქვეყნების საგარეო საქმეთა მინისტრების შეხვედრაზე.

„რისთვის სჭირდება ეს საქართველოს?“

საქართველოს კვლავ გაჟღერებულმა მისწრაფებამ ნატოში შესვლასთან დაკავშირებით რუსეთში კრიტიკა გამოიწვია. რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის სერგეი ლავროვის სიტყვებით, დღეს სახელმწიფოსთვის უფრო პრიორიტეტული საკითხი, ვიდრე ნატოს გაფართოებაა, არის საერთო ევროპული უსაფრთხოების უზრუნველყოფა პოლიტიკურ ვალდებულებათა აღების გზით — „არ განამტკიცოს თავისი უსაფრთხოება სხვათა უსაფრთხოების ხარჯზე“.

იმან, რომ ნატო უარს აცხადებს ხელი მოაწეროს რუსეთის მიერ შეთავაზებულ შესაბამის ხელშეკრულებას, ლავროვის კრიტიკა გამოიწვია.

„გამოდის, — განაცხადა რუსეთის მინისტრმა 23 აპრილს რუსეთ-ნატოს საბჭოს სხდომის დამთავრების შემდეგ ბრიუსელში, — რომ პარტნიორებს სურთ შეინარჩუნონ სიტუაცია, როდესაც, მათი გაგებით, იქნება ორი ხარისხის გარანტია.

პირველი ხარისხის გარანტიაა ის, თუ ვის მიიღებენ ნატოში, მეორე ხარისხისა კი — ყველა დანარჩენისთვის. ალიანსის შემდგომი გაფართოება მხოლოდ გაამწვავებს ამ რისკებს. რისთვის სჭირდება ეს საქართველოს ან ვინმეს სხვას, მე არ მესმის.

მე მგონია, აქ უნდა ვიხელმძღვანელოთ არა მიდგომით — „ვინ ვის წინააღმდეგ გამოდის და ვინ ვის წინააღმდეგ შეიძლება ოდესმე გამოვიდეს“ — ეს არის გზა არსაით, ეს ილუზიაა. უნდა ვიხელმძღვანელოთ მიდგომით, რომელიც პოზიტივს ისახავს მიზნად. სწორედ პოზიტივების გავლით და არა ნეგატივისა, უნდა განვამტკიცოთ გარანტიები თანასწორუფლებიანობისა და არადისკრიმინაციულ საფუძველზე“.

ამასთან ერთად, ლავროვმა აღნიშნა, რომ რუსეთი „მიესალმება“ და „პასუხისმგებელი იქნება“ ნებისმიერ ნაბიჯზე საქართველოს ხელმძღვანელობის მხრიდან, რისი მიზანიც იქნება რუსეთის ფედერაციისა და საქართველოს მოქალაქეთა დაახლოება.

„ჩვენ მხარს ვუჭერთ, რომ კავშირურთიერთობანი ჩვენს ადამიანებსა და ეკონომიკებს შორის ვითარდებოდეს მაქსიმალურად ინტენსიურად, რაც მხოლოდ ადამიანებს ემსახურება“, — დააზუსტა რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა, როდესაც უპასუხებდა ჟურნალისტების შეკითხვებს.

„მძიმე შეცდომები“

როდესაც ევროკავშირის საპარლამენტო ასამბლეის სხდომაზე საქართველოს ტერიტორიების 20 პროცენტის რუსეთის მიერ ოკუპაციის შესახებ საუბრობდა, საქართველოს პრემიერ-მინისტრმა აღნიშნა „ბევრი შეცდომა“, რომლებიც დაუშვა საქართველოს წინა მთავრობამ, რამაც, მისი სიტყვებით, ხელი შეუწყო ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის დარღვევის პროცესს.

„ჩვენ უნდა მოვთხოვოთ პასუხი“, — განაგრძო ივანიშვილმა, — **უწინარეს ყოვლისა, საკუთარ მთავრობას დაშვებულ შეცდომებთან დაკავშირებით, რასაც ვაკეთებთ კიდეც... სააკაშვილის მძიმე შეცდომები რომ არ ყოფილიყო, რუსეთს გაუჭირდებოდა ასეთი აგრესიის განხორციელება (2008 წლის აგვისტოში)“. ამავე დროს პრემიერ-მინისტრმა გამოთქვა რწმენა, რომ საქართველოს ერთიანობის აღდგენა შესაძლებელი გახდება იმ შემთხვევაში, თუ საქართველო გადადგამს „სწორ ნაბიჯებს“. ამავე დროს ივანიშვილმა აღნიშნა, რომ მას „არ გააჩნია ილუზიები“, რომ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა მოხდება „ძალიან მალე“.**

საქართველოს მთავრობის ხელმძღვანელმა გამორიცხა ტერიტორიული პრობლემის მოწესრიგების შესაძლებლობა სამხედრო გზით და განაცხადა, რომ, თუ საქართველო გახდება აყვავებული დემოკრატიული ქვეყანა, იგი გახდება მიმზიდველი აფხაზებისა და ოსებისთვისაც.

ევროკავშირის საპარლამენტო ასამბლეაში რუსეთის დელეგაციის ხელმძღვანელის ალექსეი პუშკოვის შეკითხვაზე — უნდა იყვნენ თუ არა აფხაზეთისა და სამხრეთი ოსეთის წარმომადგენლები ამ ასამბლეაზე და ექნებათ თუ არა მათ უფლება გამოვიდნენ, როგორც ეს მოხდა ამ ცოტა ხნის წინათ კოსოვოსთან დაკავშირებით, ივანიშვილმა განაცხადა, რომ აფხაზებსა და ოსებს შეუძლიათ მიიღონ მონაწილეობა ევროსაბჭოს მუშაობაში საქართველოს დელეგაციის შემადგენლობაში.

კოსოვოს გარშემო შექმნილ სიტუაციასთან დაკავშირებით საქართველოს პრემიერ-მინისტრმა შეგვახსენა, რომ, საქართველოს გამოყოფილი რეგიონებისგან განსხვავებით, რომელთა ტერიტორიებზეც რუსეთის ხელისუფლება არ უშვებს საერთაშორისო მეთვალყურეებს, „კოსოვო არა მხოლოდ არ ზღუდავდა საერთაშორისო მეთვალყურეებს, არამედ თავადაც იწვევდა მათ, და ეს მოხდა ღიად ყოველგვარი თანამშრომლობისთვის“.

„ის პასუხი არ არის“

ბიძინა ივანიშვილის სიტყვებმა საქართველოს პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის მწვავე კრიტიკა გამოიწვია. „თურმე, ერთადერთი განსხვავება (კოსოვოსა და საქართველოს რეგიონებს შორის) არის ის, რომ კოსოვომ თავის ტერიტორიაზე დაუშვა მრავალი საერთაშორისო მეთვალყურე.

აფხაზეთი და ცხინვალის რეგიონი არ უშვებენ მეთვალყურეებს, და ამასთან დაკავშირებით მათ დასჭირდებათ წარმომადგენლობა ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეაში. არ მინდა, შევახსენო საქართველოს პრემიერ-მინისტრს, რომ კოსოვო და აფხაზეთი ერთმანეთისგან განსხვავდებიან, როგორც ცა და დედამიწა. ასეთი შედარება შეიძლება გაეკეთონ მხოლოდ რუსმა მოღვაწეებმა და არა ვინმე საღად მოაზროვნე ევროპელმა პოლიტიკოსმა, და, მით უმეტეს, ქართველმა პოლიტიკოსმა“, — განაცხადა სააკაშვილმა 23 აპრილს.

საქართველოს პრეზიდენტმა ასევე უკმაყოფილება გამოთქვა ივანიშვილის პასუხზე რუსეთის ფედერაციის წარმომადგენლის შეკითხვაზე იმ შეცდომებთან დაკავშირებით, რომლებიც საქართველომ დაუშვა აფხაზეთისა და სამხრეთი ოსეთის მიმართ.

„ეს არ არის ის პასუხი, რაც ჩვენგან სურს მოისმინოს მსოფლიო გაერთიანებამ, — განაცხადა სააკაშვილმა, — იმიტომ, რომ ვინ დაგვიცავს მაშინ, თუ ჩვენ თავად ვერ ვიცავთ ჩვენს პოზიციებს.

ვინ დაიცავს ჩვენს დამოუკიდებლობას, თუ ერთ-ერთი ლიდერი გამოდის და ამბობს: **„დიახ, რას იზამ, იყო აგრესია, ჩვენ უამრავი შეცდომა დავუშვით და მომავალში ამას აღარ გავიმეორებთ“.** პრემიერის ამგვარმა დამოკიდებულებამ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის საკითხისადმი შეიძლება დამღუპველ შედეგებამდე მიგვიყვანოს, ხაზგასმით აღნიშნა პრეზიდენტმა.

ტერორისტული აქტი ბოსტონში და საქართველო

ახალი ხელისუფლების პოლიტიკის დამღუპველობის შესახებ საქართველოს საერთაშორისო რეპუტაციისთვის განაცხადა საქართველოს პარლამენტის დეპუტატმა დავით დარჩიაშვილმაც, როდესაც კომენტარს უკეთებდა რუსეთის მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში გავრცელებულ ინფორმაციას ბოსტონში ტერორისტული აქტის განხორციელებაში ეჭვმიტანილი ტამერლან ცარნაევის კავშირის შესახებ საქართველოსთან.

კერძოდ, რუსეთის მასობრივი ინფორმაციის საშუალებები იტყობინებოდნენ, რომ ტამერლან ცარნაევი, რომელიც გასულ კვირას მოკლეს ბოსტონში პოლიციასთან შეტაკების დროს, 2012 წლის ზაფხულში მონაწილეობდა კავკასიის ახალგაზრდა მცხოვრებთათვის გამართულ სემინარებში, რომლებიც ქართულმა ორგანიზაციამ „კავკასიურმა ფონდმა“ ამერიკულ არაკომერციულ ორგანიზაციასთან ერთად მოაწყო.

ეს ინფორმაცია კატეგორიულად უარყვეს „კავკასიური ფონდის“ წარმომადგენლებმა, საქართველოს შინაგან საქმეთა და საგარეო საქმეთა სამინისტროებმა განაცხადეს, რომ ამასთან დაკავშირებით ინფორმაცია არ გააჩნიათ.

მიხეილ სააკაშვილის პარტიაში ამგვარ ბრალდებებს „აბსურდულს“ უწოდებენ, ხსნიან მათ ახალი ხელისუფლების პოლიტიკით, რის შედეგადაც ქვეყნის წინა ხელმძღვანელობას უყენებენ „უნიადაგო“ ბრალდებებს, მათ შორის, საქართველოში „ტერორისტების თავშესაფრის“ მოწყობის შესახებ.

მიუხედავად ამისა, საქართველოში ამერიკის შეერთებული შტატების ელჩმა რიჩარდ ნორლანდმა კომენტარებში მასობრივი ინფორმაციის საშუალებებისთვის 24 აპრილს ურჩია ყველა პირს, ვისაც აქვს რაიმე ინფორმაცია ბოსტონის ტერორისტულ აქტთან დაკავშირებით, წარუდგინოს იგი სტრუქტურებს, რომლებიც გამოკვლევას აწარმოებენ.

VOA NEWS.com Голос Америки

დედამიწის ზურგზე

შეიძლებოდა თუ არა ბოსტონის ტერორისტული აქტის თავიდან აცილება: როდესაც აშშ-ს აფრთხილებდნენ, რუსეთის სპეცსამსახურებმა დაუშვეს შეცდომები

ამერიკელი პოლიტიკოსები და ექსპერტები მკაცრ დებატებს აწარმოებენ იმასთან დაკავშირებით, თუ უშიშროების ეროვნულ სისტემაში რატომ მოხდა ხარვეზი, მიუხედავად მოსკოვიდან მრავალრიცხოვანი სიგნალებისა ტამერლან ცარნაევის პოტენციური საფრთხის შესახებ. თანაც შეინიშნება კრიტიკა რუსეთის მისამართითაც: მან არასწორად მიუთითა გვარი და დაბადების თარიღი ეჭვმიტანილისა, აგრეთვე არ მოგვაწოდა დამატებითი ცნობებიო.

* * *

ხუთი წლის ამერიკელმა მსოფლიოს ყველაზე ახალგაზრდა გენიოსების სიიდან ძოთანზე ჯდომის დროს განავითარა წარმოუდგენელი IQ

ნორჩმა ჰუს ნორმანმა, რომლის სამეცნიერო ინტერესების სფეროში ამჟამად შედის ასტროფიზიკა და შავი ხვრელები, კითხვა დაიწყო წლინახევრის ასაკში. მამამ, როდესაც შენიშნა, რომ ვაჟიშვილი მისგან ღებულობს ჟურნალებს, მას მენდელეევის ცხრილიც, გეოგრაფიული რუკები და სხვა სამეცნიერო ჟურნალებიც მიაწოდა. ამჟამად ბიჭის ინტელექტის უნარი ჩვეულებრივი მოზარდის უნარს 40 პროცენტით აჭარბებს.

* * *

იაფი ტანსაცმლის ფასი: ბანგლადეშში ფაბრიკის ჩამონგრევის დროს 273 კაცი დაიღუპა

რვასართულიანი შენობის ნანგრევებიდან დაახლოებით 2 ათასზე მეტი კაცის გადარჩენა შეძლეს. 25 აპრილს ჩამონგრევიდან თითქმის ორი დღე-ღამის შემდეგ, ამოიყვანეს 41 კაცი. მაშველები უკვე კარგავენ იმედებს. პრემიერ-მინისტრი გვპირდება საყოველთაო ლოცვას და დამნაშავეთა დასჯას. ფაბრიკის პატრონი გაქცეულია.

* * *

ეკვატორული გვინეის ნაპირებთან მეკობრეებმა ხელში ჩაიგდეს კონტეინერმზიდი რუსი და უკრაინელი მეზღვაურებით

ხომალდ „ჰანსა მარბურგზე“, რომელიც გერმანიის ერთ-ერთ კომპანიას ეკუთვნის, თავდასხმა მოხდა ადგილობრივი დროით დაახლოებით შუაღამისას 23 აპრილს ნავსადგურ მალაბოდან 130 მილში. ხომალდის გუნდის ყველა წევრი მძევლად აიყვანეს, დაზარალებულთა შესახებ არ იტყობინებიან.

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

მთელი სამეფო ლაშქარი...

* * *

უფროსი თაობის ხალხს ეხსომება, რაოდენ დიდი ყურადღება ეთმობოდა ენის ნორმების დაცვას პრესაში, სხვადასხვა გამოცემებში 90-იან წლებამდე, „ნეტარხსენებული“ კომუნისტების დროს. ვითომ კომუნისტებს უფრო მეტად შესტკიოდათ გული ენის სიწმინდეზე, ვიდრე პოსტსაბჭოურ ხელისუფლებს? მიზეზი მარტივია: საბჭოთა ხანაში გამოდიოდა თითზე ჩამოსათვლელი რაოდენობის გაზეთები და ჟურნალები, რომლებიც ცეკას კონტროლს იყო დაქვემდებარებული, და ამ გამოცემებში გასული ყველა შეცდომა, პარტიული ცხოვრების ინფორმაციის უგულებელყოფის ყოველი ფაქტი კომპარტიის ხაზის გამრუდებად ითვლებოდა. ამიტომაც დაჰკანკალებდნენ ყოველ სიტყვას, თითოეულ ასოს. დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ გაუქმდა საუწყებო გამოცემები, და, მართალია, ენისთვის არავის ჩამოურთმევია სახელმწიფო სტატუსი, მაგრამ ის უკვე **საერთო,** საზოგადო იყო, და, ამდენად, — უპატრონოდ დარჩა, ისევე, როგორც უამრავი რამ ჩვენს ირგვლივ, რაც კერძო, ვისიმე საკუთრებას არ შეადგენს, და „საერთო“ (ანუ, ჩვენი გაგებით, არავისი) ჰქვია.

რაც შეეხება **არცთუ შორეულ** წარსულს, არც ისეთი ხელწამოსაკრავი დრო იყო, თუნდაც, შედარებით ახლო, „გაევროპელებამდელი“, სანამ ერთურთის მიმართ ნულოვან ტოლერანტობაზე გადავიდოდით, და საკუთარ ჯიშსა და ჯილაგს, მშობლიურ ენას დავიცავდით.

ჩვენს დღევანდელ პარლამენტს, ხელისუფლებას უამრავი პოლიტიკური, სოციალ-ეკონომიკური თუ სხვა უპირველესი მნიშვნელობის ამოცანა აქვს გადასაწყვეტი, მაგრამ ინგლისურის დევნაში დავიწყებული ქართულიც რომ მისახედი გვაქვს? ბუნებრივია, ჩვენს მაგივრად ხელისუფლებას ვერ მოვთხოვთ ენის მოვლა-პატრონობას, მაგრამ ხომ შეიძლება, დასავლეთის სახელმწიფოების (საფრანგეთის, ბელგიის, კანადის) მაგალითისამებრ, ჩვენშიც შეიქმნას **ენის პოლიცია**, რომელიც კონტროლს გაუწევს ქართული სალიტერატურო ენის ნორმების დაცვას და სახელმწიფო ენის პრიორიტეტულ ხმარებას შინ თუ გარეთ — საწარმო-დაწესებულებებში, უწინარეს ყოვლისა, სახელისუფლებო სტრუქტურებში, რადიო-ტელევიზიაში, პრესაში, ქუჩებში, შენობებზე, ტრანსპორტზე და ა.შ.

სწორედ ამიტომ არის აუცილებელი, შეიქმნას **ენის პოლიცია**, რომელიც მკაცრად გაადევნებს თვალს სალიტერატურო ენის ნორმების დაცვას და გვაიძულებს (რახან ნებით არ გვინდა), სწორად ვწეროთ და ვილაპარაკოთ. ბუნებრივია, ეს პოლიცია კი არ დაიჭერს ხალხს, არამედ გააფრთხილებს და დააჯარიმებს ნორმების დამრღვევ ორგანიზაციებს, უწინარეს ყოვლისა, გამომცემლობებსა და ჟურნალ-გაზეთების რედაქციებს. ბოლოს და ბოლოს, შეიძლება გავეცნოთ ფრანგების გამოცდილებას, რომლებსაც ეს საქმე სანიმუშოდ აქვთ დაყენებული. **ჩვენი ახალი პარლამენტი, უდავოდ, საშვილიშვილო საქმეს დაადგამს თავს, თუ მიხედავს ჩვენი ცხოვრების ამ უმნიშვნელოვანეს უბანს, შექმნის ენის პოლიციას : მაშინ ენასაც მოევლება და უმუშევარ მოქართულეებსაც გამოუჩნდებათ საქმე (იურისტებთან ერთად, სწორედ ისინი შეადგენენ ამ უწყების ბირთვს) — დღეს ხომ „ფილოლოგი“ ლამის დასაცინი სიტყვა გახდა, არცთუ შორეული წარსულისაგან განსხვავებით, როცა ჩვენში ქართულს და ქართულის მცოდნეებს პატივს სცემდნენ.**

ცოტა ხნის წინათ ხელში ჩამივარდა **1920 წელს გამოცემული „ქმოსნური სიტყვარიდან“ (ალბათ, ტექნიკური ლექსიკონიდან) ამოღებული „საშევარდენო ტანვარჯიშის სახელსახება“ (ტერმინოლოგია).** უნდა ნახოთ, რა სიყვარულით და საქმის ცოდნით არის დაწერილი და შედგენილი ეს „რუს-ქართული სიტყვარი“. „სახელსახება“ ჯერ კიდევ 1911-1913 წლებში გადმოუქართულებიათ ჩეხურიდან და რუსულიდან, ხოლო 1918 წელს თბილისის საზოგადოება „შევარდენის“ „წურთნელთა კრებულს“ შეუსწორებია და შეუვსია. ყურადღება მიაქციეთ წლებს: იმ უმძიმეს პერიოდშიც კი მამულიშვილებს (თანაც, არა — სპეციალისტებს, ენათმეცნიერებს და, საერთოდ, სწავლულებს, არამედ ენთუზიასტ სპორტსმენებს, „შევარდენის“ ტანმოვარჯიშეებს) გამოუნახავთ დრო და შესაძლებლობა, ეზრუნათ ახალი ტერმინოლოგიის, სახელსახების შექმნისა და დამკვიდრებისათვის.

ამავე წლებშია შედგენილი და გამოცემული **„ქმოსნური სიტყვარი“,** რომლის ზოგიერთი ტერმინი დღესაც იხმარება, მაგალითად, **სვლაგეზი — მარშრუტი, ელსმენი — ტელეფონი**, უფრო ნაკლებად, **რონოდა — ვაგონი** და კიდევ რამდენიმე სხვა. მენშევიკებს რომ დასცლოდათ, ალბათ, ასევე დამკვიდრდებოდა **ანგარანი — კანტორა, თბობადი — ტემპერატურა, მენაკი — გრადუსი, ზესკნელი (საპირისპირო ქვესკნელის ანალოგიით)** და სხვ. შეიძლება, ზოგი ტერმინი ყურს გვჭრიდეს, ყველა არც იყოს მოსაწონი, მაგრამ ნაწილი მაინც გამოდგებოდა, რაც მთავარია, კურსი იყო სწორად აღებული, ენის სიწმინდის დაცვის კურსი. „სვლაგეზი“. ალბათ, იმ წლებშივე გაჩნდა ყველასგან განსხვავებული, წმინდა ქართული სახელწოდებანი — **ფეხბურთი, წყალბურთი, ხელბურთი** და ა.შ.

ქართველ მენშევიკებს, თუმცა განაყოფ ძმებად ეკუთვნოდნენ ბოლშევიკებს და მათგან დიდად არ განსხვავდებოდნენ, არასდროს არ ავიწყდებოდათ, რომ ქართველები იყვნენ, და მამულზე შესტკიოდათ გული. ამიტომაც მოასწრეს ამდენი რამ მცირე ხნის განმავლობაში.



* * *

და, ბოლოს, — იმის შესახებ, რაც უშუალოდ **ენის პოლიციას,** შეიძლება, არც ეხებოდეს, მაგრამ ეხება თითოეულ ჩვენგანს, სამართალდამცველებსაც, კანონმორჩილ მოქალაქეებსაც, სამართალდამრღვევებსაც, და, საერთოდ, ენის ყველა გულშემატკივარს — ერთი მაგალითი ახალი აღთქმის ქართული ტექსტიდან, მაგალითი, რომელიც სიამაყით აღავსებს ყოველ ქართველს, განურჩევლად მისი პოლიტიკური სიმპათიებისა, და მოწმობს, რომ ქართულ ენას ოდითგან უდიდესი საერთაშორისო ავტორიტეტი ჰქონდა მოხვეჭილი. მე ძველი და ახალი აღთქმის თარგმანებზე მოგახსენებთ. კერძოდ, იოანე მოციქულის გამოცხადებაში (და — სხვაგანაც) ნათქვამია: **„მე ვარ ანი და ჰოე...“** ვნახე რუსულში, წერია „Я есмь Алфа и Омега...“ ბუნებრივია, ალფა და ომეგაა ბერძნულშიც (ოღონდ, არა სიტყვიერად, არამედ ბერძნული ანბანის პირველი და ბოლო ასონიშნებით). ასევე, ალფა და ომეგაა გერმანულ თარგმანშიც (ლუთერისეული არ მინახავს), ინგლისურ გამოცემაშიც... მოვიშველიე უცხო ენების მცოდნე ნაცნობ-უცნობები, და დავაზუსტე, რომ ასევე ყოფილა ჩინურში, ფინურში, ტაილანდურში, თურქულში, ვიეტნამურში, ალბანურში, ბულგარულში, უნგრულში, ხორვატულში, ფრანგულსა და, საერთოდ, ევროპულ ენებში, და, რაც მთავარია, სომხურში, რომელიც ერთ-ერთი უძველესია ბიბლიის თარგმანებს შორის. ამ უძველეს თარგმანშიც „ალფა და ომეგაა“. ესე იგი, ქართველი მთარგმნელის გარდა, ვერც ერთმა ვერ შებედა ახალ აღთქმას, ჩაეწერა თარგმანში არა ბერძნული, არამედ თავისი ანბანის პირველი და ბოლო ასო, არ ჰქონდა უფლება! ჩვენმა წინაპარმა კი ჩათვალა, რომ — ჰქონდა უფლება (როგორც იერუსალიმში იარაღასხმული, საბრძოლო დროშებით შესვლისა), დედნისეული **ალფა** და **ომეგა** ქართული **ანითა** და **ჰაეთი (ჰოეთი)** შეეცვალა. ეს არ არის უბრალო გამბედაობა — ჩაანაცვლო თუნდაც ერთი ასო წმინდა წერილის დედნისეულ ტექსტში. ამისათვის კურთხევაა საჭირო.

უფლის კურთხევა!

ეგებ, სწორედ ეს არის იოანე ზოსიმეს ლაზარეს ერთ-ერთი საიდუმლო, ვინ იცის?!...

ძებნას განვაგრძობ. და თუ აღმოჩნდა, რომ „ალფა“ და „ომეგაა“ ნახმარი სახარების უძველეს ენებზე — კოპტურ, ეთიოპურ და არამეულ თარგმანებშიც, მაშინ თამამად შეგვიძლია ვთქვათ: არათუ პოლიცია, მთელი სამეფო ლაშქარიც მტლად რომ დაედოს ჩვენი უფლებააყრილი ენის დაცვას, მაინც ვალში დავრჩებით დედაენის წინაშე...

* * *

ახლა კი ვნახოთ, რა აზრისაა აღნიშნულ საკითხზე მეცნიერება. დავუკავშირდი ამ საქმის საუკეთესო სპეციალისტს, პროფესორ **ზურაბ კიკნაძეს,** რომელიც თავის დროზე სტოკჰოლმის ბიბლიის თარგმნის ინსტიტუტში მთარგმნელ-რედაქტორად მონაწილეობდა ახალი აღთქმისა და ფსალმუნების ქართულ გამოცემაში. უცვლელად გთავაზობთ ბ-ნი ზურაბის კომენტარს:

„წერილი ძალზე აქტუალურია, როგორც ამ თემაზე დაწერილი ყოველი ტექსტი. განსაკუთრებით მიეესალმები „ენის პოლიციის“ შექმნას, რომლის საფუძველი ენის კანონი იქნება, რაც არ არსებობს. ეს აუცილებელია.

ახლა რაც შეეხება ალფა და ომეგას. ეს ორი სიტყვა, როგორც ბერძნული ანბანის პირველი და უკანასკნელი ასონიშნების სახელწოდებები, იოანეს „გამოცხადებაში“ გამოყენებულია ქრისტეს აღსანიშნავად, რომელიც არის „პირველი და უკანასკნელი, დასაბამი და დასასრული“ (გამ. 22:12), როგორც ჯერ იოანეს სახარებაში („პირველითგან იყო სიტყვა...“) და შემდეგ „მრწამსის“ სიმბოლოში („მამისაგან შობილი უწინარეს ყოველთა საუკუნეთა“) დაიწერა. რაკი წმინდა წერილი სხვადასხვა ენებზე ითარგმნა, თარგმნილია ყოველი სიტყვა „სახარებიდან“ (ბერძნ. ეუანგელიონ) „მოციქულით“ (ბერძნ. აპოსტოლოს) დამთავრებული. გამონაკლისი არც „ალფა და ომეგა“ არის: ქართულ ენას აქვს შესაძლებლობა ქართულად თარგმნოს ეს სიტყვები, რადგან ქართულ ანბანში, განსხვავებით სხვა ანბანებისაგან (გამონაკლისი ებრაულ-არამეული ანბანია), ანბანის ყოველ ასო-ნიშანს თავისი სახელი აქვს (ანი, ბანი, დონი და ა.შ.). მაგალითისთვის, ლუთერს თავის თარგმანში ასე გადმოაქვს ბერძნული დედნის ალფა და ომეგა: das A und das O, თუმცა O გერმანული ანბანის ბოლო ასო-ნიშანი არ არის. სხვათა შორის, ზოგ ბერძნულ ხელნაწერში ალფა და ომეგას ნაცვლად ვკითხულობთ το Αλφα και το Ω. კოპტურ და ეთიოპურ ტექსტებზე ხელი არ მიმიწვდება, თუმცა, კოპტურის შესახებ ვიტყვი, რომ კოპტური თარგმანი სავსეა უთარგმნელად დატოვებული ბერძნული სიტყვებით, რაკი შესატყვისები ვერ დაეძებნა. ამიტომაც ვვარაუდობ, რომ კოპტურ ტექსტში ალფა და ომეგა ეწერება. სომხურში არის ԱԼՖԱ და ՈՄԵ. ეს უკანასკნელი ორი ასო ბერძნულ ომეგას აღნიშნავს, თუმცა, ის სულაც არ არის სომხური ანბანის უკანასკნელი ასო. ასე რომ, სომხურში და ყველგან, სადაც თარგმანში ომეგა არის შენარჩუნებული, დარღვეულია ბერძნული ომეგას, როგორც „უკანასკნელის“ („დასასრულის“) სემანტიკა, რაც თარგმანის სასარგებლოდ არ მეტყველებს. ქართულში და, მასთან ერთად, ებრაულ-არამეულ თარგმანში დაცულია ეს პრინციპი, როცა „უკანასკნელის“ მნიშვნელობა ანბანის უკანასკნელი ასონიშნით არის გამოხატული. შესაბამისად, ებრაულ და არამეულ თარგმანებში ვკითხულობთ: ალეფ და თაუ. თაუ ებრ.-არამეული ანბანის უკანასკნელი ასოა. რაც შეეხება ალეფს, სახელწოდება ფინიკიურიდან (ამ ორი ენის მონათესავე ენიდან) მოდის და ბერძნულში იგი უცვლელად არის გადმოტანილი, რის გამოც დაკარგული აქვს სემიტური სემანტიკა (ფინიკიურში პირველ ასოს ერქვა ალეფ „ხარი“ და ნიშანიც ხარის რქებს გამოხატავდა). სწორ გზაზეა არაბული თარგმანიც: ალეფ და იაჰუ, რომელიც ზუსტად გამოხატავს „პირველს და უკანასკნელს“: იაჰუ აღნიშნავს „იოტას“, რომლითაც მთავრდება არაბული ანბანი.

ეს არის და ეს, რისი თქმაც შეიძლია. იოანე ზოსიმეს ტექსტთან საერთოს ვერ ვხედავ.

რაც შეეხება ნიშანს ჯ, იგი ხელოვნურად შექმნილი ასო-ნიშანია ომეგას აღსანიშნავად, მაგრამ კითხულობენ, როგორც — ჰოე. ამ ნიშნის შესახებ იხ. საბას „სიტყვის კონაში“ ყველაზე ბოლო ასო-ნიშანი.“

არჩილ მანჯგალაძე

ⓘ ინფორმაცია

საღდგომოდ 17 ქალი პატიმარი გათავისუფლდა

სამინისტროს ცნობით, განსახილველი განცხადებების სიმრავლიდან გამომდინარე პირველ ეტაპზე განიხილეს მსჯავრდებული ქალბატონების შუამდგომლობები.

პირობით ვადამდე გათავისუფლების მუდმივმოქმედი კომისიისა და ადგილობრივი საბჭოების გადაწყვეტილებით, 2012 წლის 1 ოქტომბრიდან 22 აპრილამდე დაწესებულება დატოვა 126-მა ქალბატონმა, მათ შორისაა ერთი არასრულწლოვანი, მაშინ, როცა 2012 წლის 1 იანვრიდან 30 სექტემბრის ჩათვლით პირობით ვადამდე მხოლოდ 16 ქალბატონი გათავისუფლდა.

სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს ადგილობრივი საბჭოების სხდომა კიდევ ორი დღის განმავლობაში გაგრძელდება.

ინტერპრესი

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

◎ სტუმარი

საქართველოში UEFA-ს პრეზიდენტი მიშელ პლატინი ჩამოვიდა

თბილისის საერთაშორისო აეროპორტში მას საქართველოს ნაკრების ყოფილი კაპიტანი , ენერგეტიკის მინისტრი კახა კალაძე და სპორტის მინისტრი, ლევან ყიფიანი დახვდნენ.

როგორც აეროპორტში ჟურნალისტებთან საუბრისას პლატინიმ აღნიშნა, თბილისში დაგეგმილი ტურნირი საქართველოსთვის ძალიან მნიშვნელოვანია.

„მე დეტალური ინფორმაცია მაქვს მთელ მოსამზადებელ ეტაპზე. ვიცი, რომ ქართულმა მხარემ თავი ყველაფერს კარგად გაართვა. ეს გამოცდილება გამოგადგებათ 2015 წლის სუპერთასის ფინალის გასამართად, — აღნიშნა მიშელ პლატინიმ.

პლატინი სპორტის სასახლეში UEFA-ს ფუტსალის თასის ოთხთა ფინალის გახსნას დაესწრო. ფუტსალის ოთხთა ფინალზე დასასწრებად, UEFA-ს პრეზიდენტის გარდა, თბილისში 20-ზე მეტი უმაღლესი რანგის სტუმარი ჩამოვიდა. მათ შორის უეფას ვიცე-პრეზიდენტები, სხვადასხვა ქვეყნების ფეხბურთის ფედერაციებისა და კლუბების პრეზიდენტები.

მატჩს ფუტსალის გულშემატკივართან ერთად ესწრებოდნენ საქართველოს პრემიერ-მინისტრი ბიძინა ივანიშვილი, ქალაქის მერი გიგი უგულავა, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრი გიორგი ყიფიანი, საქართველოს მთავრობის წარმომადგენლები და სხვადასხვა ოფიციალური პირები.

გუშინ პირველი შეხვედრა „იბერია სტარმა“ ანგარიშით 2:5 მოსკოვის „დინამოსთან“ წააგო.

მანუჩარ გიორგაძე

◎ ჟიუდო

„ოქროს“ სტარტი

უნგრეთის დედაქალაქ ბუდაპეშტში ძიუდოისტთა ევროპის ჩემპიონატზე შესანიშნავი სტარტი საქართველოს ვაჟთა ნაკრებმა: მთავარი მწვრთნელის — ირაკლი უზნაძის შეგირდებმა ლასლო პაპის სპორტის სასახლეში ასპარეზობის პირველ დღეს საქართველოს ჰიმნი ორჯერ ააჟღერეს — კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ამირან პაპინაშვილი (60 კგ) და ლონდონის ოლიმპიადის ჩემპიონი ლაშა შავდათუაშვილი (66 კგ) ავიდნენ. ამგვარ დასაწყისზე მხოლოდ ოცნება თუ შეიძლებოდა. თუმცა აქვე 1993 და 1996 წლები გვახსენდება, როცა ქართველმა ძიუდოისტებმა ევროპის ჩემპიონატებზე სამ-სამი პირველი ადგილი (1993 — ვლადიმერ დგებუაძე და დავით ხახალეიშვილი მძიმესა და აბსოლუტურში, 1996 — გიორგი ვაზაგაშვილი, გიორგი რევაზიშვილი, დავით ხახალეიშვილი) დაიკავეს.



ამირან პაპინაშვილი

ამ მცირე გადახვევის შემდეგ, მოდით, ისევ ლასლო პაპის სასახლეს დავუბრუნდეთ. პაპინაშვილის პირველი მეტოქე აზერბაიჯანელი ვუგარ შირინლი გახლდათ. თავიდან ჩვენებური შებოჭილი ჩანდა, ალბათ, იმის გამო, რომ აზერბაიჯანელთან მას პირად შეხვედრებში უარყოფითი ბალანსი ჰქონდა. შირინლიმ ქართველ ფალავანს მალევე აუღო ვაზარი... პაექრობის მეორე ნახევარში პაპინაშვილი გააქტიურდა და ვაზარით ანგარიშიც გაათანაბრა, შეხვედრის მიწურულს კი აზერბაიჯანელი შებოჭვაზეც დაიჭირა და წმინდად მოიგო. მეორე წრეში ჩეხ პაველ პეტრიკოვს იოლად გაუსწორდა — ორი ვაზარი აართვა. ნახევარფინალში ბრიტანელ ეშლი მაკენზის დასამარცხებლად ორი იუკო იკმარა, თან კუნძულელს ზედიზედ მესამედ აჯობა. ფინალში ყველასთვის მოულოდნელად გასულ შვეიცარიელს — ლუდოვიკ ჩამარტინს (აქამდე მას საერთაშორისო სარბიელზე თავი არაფრით გამოუჩენია) დაუპირისპირდა და გონგამდე 2,26 წუთით ადრე იპონით სძლია.

ლაშა შავდათუაშვილი კვარცხლბეკზე

ბრინჯაოს მედლები არტიომ არშანსკისა (ისრაელი) და ეშლი მაკენზის (ბრიტანეთი) ერგოთ.

ოცდაერთი წლის ლაშა შავდათუაშვილმა ოლიმპიური თამაშების შემდეგ ოპერაცია გაიკეთა, მაგრამ, ეტყობა, სპორტული ფორმის აღდგენა შეძლო, თუმცა ჩვეულ კონდიციამდე ჯერ კიდევ ბევრი სამუშაო აქვს. ეს განსაკუთრებით პირველ წრეში ბელგიელ იესპერ ლეფევერესთან პაექრობისას გამოჩნდა, როცა მეტოქემ ოლიმპიურ ჩემპიონს იუკო და ვაზარი აართვა. ეს ორთაბრძოლა პაპინაშვილი-შირინლის შეხვედრის სცენარით წარიმართა: შავდათუაშვილი დროზე გამოფხიზლდა, ჯერ იუკო და ვაზარი დაიმსახურა, მერე შებოჭა მეტოქე და წმინდად გაიმარჯვა. რუმინელ მირჩა ლამუს ლაზეას იუკოთი აჯობა, მესამე წრეში მასპინძელი ბენცე ზამბორი (მასთან შეხვედრისას მსაჯებმა უმოწყალოდ დაჩაგრეს უკრაინელი გიორგი ზანთარაია) დაჯაბნა. ნახევარფინალში შავდათუაშვილი აზერბაიჯანელ მსოფლიოს პრიზიორ ნიჯათ შიხალიზადეს შეხვდა. თავიდან ჩვენი მეზობელი დაწინაურდა ვაზარით, მაგრამ პაექრობის დამთავრებამდე წუთ-ნახევრით ადრე ოლიმპიურმა ჩემპიონმა ანგარიში გაათანაბრა და შიხალიზადეს შებოჭვაც შეძლო.

ბადის მეორე ნახევრიდან ფინალში ჭიდაობის უფლება რუსთა დაღესტნელმა ახალგაზრდა ფალავანმა კამალ ხან-მაგომედოვმა მოიპოვა. ორ წუთზე ცოტა მეტი იყო გასული, მსაჯებმა ლაშას გდება ჯერ იპონით რომ შეაფასეს, მაგრამ მერე გადაწყვეტილება შეცვალეს (სრულიად სამართლიანად) და ვაზარის დაჯერეს. ჩვენებურმა ეს ანგარიში შეინარჩუნა და დავით ხახალეიშვილის შემდეგ მეორე ქართველი ძიუდოისტი გახდა, რომელმაც ოლიმპიური ჩემპიონობის შემდეგ ევროპაში უძლიერესის სახელი დაიმსახურა. მესამე ადგილებზე დმიტრი დრაჟინი და დავიდ ლაროსე (ორივე —საფრანგეთი) გავიდნენ.

ლექსო ცინცაძე

◎ თანამშრომლობა

ერთიანი ფრონტით

საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრმა ლევან ყიფიანმა და საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა სამინისტროებს შორის ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი გააფორმეს.

მემორანდუმის ფარგლებში მხარეები იღებენ ვალდებულებას ხელი შეუწყონ:

ა) ახალგაზრდებში (მათ შორის არასრულწლოვანთა) დანაშაულის პრევენციას და ამ მიზნით დანაშაულის პირველად პრევენციასთან დაკავშირებული ღონისძიებების გატარებას, ასევე რისკჯგუფებთან მუშაობასა და დანაშაულის რეციდივის თავიდან აცილებას;

ბ) კანონთან კონფლიქტში მყოფი პირების რეაბილიტაციასა და რესოციალიზაციას;

გ) ერთობლივი პროგრამების და პროექტების შექმნასა და განხორციელებას;

დ) ერთობლივი სპორტული, შემეცნებითი და ახალგაზრდული ღონისძიებების, შეჯიბრებების, ტურნირების და სხვა მსგავსი ღონისძიებების გამართვას;

ე) სამსახურებრივი მოვალეობის დროს დასახიჩრებული თანამშრომლების სპორტულ პარაოლიმპიურ შეჯიბრებებში და ასევე ინტელექტუალურ თამაშობებში ჩართვას;

ვ) შესაბამის სპორტულ ფედერაციებთან ერთად სპორტულ შეჯიბრებებზე (განსაკუთრებით ფეხბურთის მატჩებზე) მაყურებლის მიერ გამოვლენილი ძალადობისა და არასათანადო ქცევის წინააღმდეგ მიმართული შესაბამისი პრევენციული სახის სამუშაოების ჩატარებას;

ზ) საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში პროფესიული სპორტული შეჯიბრების მონაწილის ან ორგანიზაციის მოსყიდვის და, აგრეთვე, სპორტულ შეჯიბრებებზე უკანონო ფსონების დადების წინააღმდეგ მიმართული ღონისძიებების განხორციელებას.

ასევე, მემორანდუმში გათვალისწინებულია, რომ მხარეები საჭიროების შემთხვევაში გაცვლიან ინფორმაციას და ყველა სიახლეს დროულად აცნობებენ ერთმანეთს.

გეჟან დოლიძე

◎ ფეხბურთი

ტიტული ყველას უნდა

ჩემპიონთა ლიგაში შარშანდელი ტრიუმფის შემდეგ რომან აბრამოვიჩისა და „ჩელსის“ პატივმოყვარეობა თითქოს კარგა ხნით დაკმაყოფილდა, მაგრამ ნურას უკაცრავად: „არისტოკრატთა“ კლუბი, მართალია, ჯგუფური ეტაპიდან გამოეთხოვა ელიტურ საზოგადოებას, მაგრამ, ევროპის ლიგაში დაქვეითებული, შეუპოვრად ცდილობს კოლექციის გამდიდრებას და ცალი ფეხით უკვე ფინალში შეაბიჯა.

შეგახსენებთ, რომ ახალი სეზონის წინ „სტემფორდ ბრიჯი“ მიუნხენური ზღაპრის მთავარ შემოქმედ დიდიე დროგბასთან ერთად ულიცენზიო მწვრთნელმა რობერტო დი მატეომ დატოვა, ასე რომ, ამ უკანასკნელის შემცვლელ რაფაელ ბენიტესს პროფესიული მოტივაციაც აძლევს დამატებით სტიმულს მორიგი სიმაღლის დასაპყრობად.

„ბაზელი“ — „ჩელსი“ 1:2

გოლები: შონი (პენალტით); მოიზესი, ლუისი.

გულშემატკივარმა კარგად იცის, რომ თურქების ერთადერთი ევროპული აღზევება „გალათასარაის“ უკავშირდება. იმ წარმატებიდან კარგა ხნის შემდეგ თანამემამულეთა გახარება მეორე სტამბოლურ გრანდს შეუძლია და „ფენერბახჩეც“ საპასუხო რაუნდის წინ მცირე, მაგრამ გარკვეულ უპირატესობას მაინც ფლობს.

თუმცა, გასათვალისწინებელია მეტოქის — ლისაბონის „ბენფიკას“ წლევანდელი შესანიშნავი კონდიციები, რაც ეროვნულ ჩემპიონატში დამაჯერებელ ლიდერობაში გამოიხატება. თუ იმასაც გავუსვამთ ხაზს, რომ ჟესუსის გუნდი ბოსფორის ნაპირებს შესუსტებული შემადგენლობით ეწვია, ხოლო ოსმალებს სტუმრად დისკვალიფიცირებული ბარონი და ვებო დააკლდებათ, პორტუგალიაში გასამართ მატჩ-რევანშში საინტერესო თამაშთან ერთად დიდი ბრძოლაცაა მოსალოდნელი.

„ფენერბახჩე“ — „ბენფიკა“ 1:0

გოლი: ეგემან ქორქმაზი. 45-ე წუთზე ბარონმა ვერ გაიტანა პენალტი (ძელი).

გიორგი შოთაძე

◎ კალათბურთი

შუქი ჩვენი არსობისა...

სუპერლიგის მეოთხედფინალური წყვილებიდან „რუსთავი“ — „ქუთაისი“, „დინამო“ — „არმიის“ მსგავსად, მეტოქეთა თანაბარი ძალებით გამოირჩევა. ამდენად, მათ პირველ ბრძოლას ქვემო ქართლის მთავარი ქალაქის სპორტის სასახლე გადაჭედილი ტრიბუნებით შეეგება, მაგრამ...

დიახ, პირველი პერიოდის მიწურულს, როცა სტუმრები მინიმალურ უპირატესობას ფლობდნენ — 14:13, დარბაზში, არც მეტი, არც ნაკლები, შუქი ჩაქრა და ხანგრძლივი უშედეგო ლოდინის შემდეგ შეხვედრა ჩაიშალა. ვითარების გათვალისწინებით, სერია ორ მოგებამდე ასეთი განრიგით გაგრძელდება: **დღეს** — ქუთაისში, **29 აპრილს** — რუსთავში და საჭიროების შემთხვევაში — იქვე **1 მაისს.**

რაც შეეხება დანარჩენ დუეტებს, მათში ორი უძლიერესი უკვე გამოვლინდა. ესენი არიან რეგულარული სეზონის გამარჯვებული „ოლიმპი“, რომელმაც თსუ დაიბრიყვა — 2:0 (მეორე მატჩი — 117:77) და შსს აკადემიის გუნდი, რომელმაც ასეთივე საერთო ანგარიშით, თუმცა გაცილებით მძაფრ დაპირისპირებაში „სოხუმი“ დაამარცხა (მეორე თამაში — 80:67).

აღსანიშნავია, რომ, სასტარტო დუელის მსგავსად, ზღვისპირელები კარგა ხნის განმავლობაში ამჯერადაც ღირსეულად უმკლავდებოდნენ ფავორიტს, მაგრამ მას შემდეგ, რაც ფარქვეშ ბურთისათვის ძიძგილაობაში ქადარიას ცხვირი გაუტეხეს, ისედაც სათადარიგოთა მოკლე სკამის ფაქტორმა იჩინა თავი და საუკეთესოს ბედიც გადაწყდა. ეს ძალოვანთა პირველი საპლეიოფო წარმატებაა ვაჟა კვარაცხელიას შეგირდთა წინააღმდეგ უკანასკნელი სამი წლის მანძილზე. დავძენთ, რომ პარტნიორთა შორის შედეგიანობით დეონტა ვონი გამოირჩეოდა.

ახლა კი, ჩაროზად, ყველაზე პრინციპული ბრძოლის შესახებ:

„არმია“ — „დინამო“ 77:75

(დამატებით დროში. ძირითადი დრო — 67:67)

(სერიის ანგარიში — 1:1).

პირველი მატჩისგან განსხვავებით, მდევრის როლში ამჯერად თითქმის მთელი ძირითადი დროის განმავლობაში თავდაცვის სამინისტროს გუნდი იყო. სახიფათო დევნა სასურველი შედეგით, ბოლოსდაბოლოს, დასკვნით მეოთხედში დაგვირგვინდა, როცა ჯგერენაიამ ზედიზედ ორჯერ ახლო დისტანციიდან ზუსტი ტყროცნით დაასრულა პარტნიორთა იერიშები. აქედან მოყოლებული, სპორტკომპლექს „არენაში“ ნერვების ომი გაჩაღდა, რომელიც შარაბიძის, გამყრელიძის, წივწივაძისა და უბერებელი ბაბიაშვილის ძალისხმევით კოტე ტულუშის დამოძღვრილმა ბიჭებმა მოიგეს, თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ დამატებითი დროის უკანასკნელ წამზე დინამოელებს ფორტუნამ უმუხთლა: ამ ეპიზოდში მათი ლიდერის კარიმის შორეული ტყორცნის შემდეგ თითქმის ჩავარდნილი ბურთი კალათიდან ამოვარდა.

ამ წყვილის გადამწყვეტი შეხვედრა დღეს იქვე 20 საათზე დაიწყება.

ვიტალი ჯაფარიძე

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

◎ აკადემია ხვალ

აკადემიკოსობის კანდიდატები

თამაზ ჭელიძე

„ჩვენ, კოლეგა-გეოფიზიკოსები, მუდამ დიდი ინტერესით ველოდებით თქვენს შრომებს, რამდენადაც მათში ვხვდებით ახალ მიდგომებს, ცნობილი პრობლემების მოულოდნელ გადაწყვეტას, საუცხოო დასკვნებსა თუ შედეგებს, რომელთაც მერე ვითავისებთ და ვიყენებთ. თქვენმა პიონერულმა გამოკვლევებმა პერკოლაციის თეორიაში განსაკუთრებული წვლილი შეიტანა არა მარტო რღვევის მოვლენათა კინეტიკის შესწავლაში, არამედ მიწისძვრების პროცესების გაგებაში“ — ეს შეფასება რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის ოტო შმიდტის სახელობის დედამიწის ფიზიკის ინსტიტუტის დირექტორისგან, პროფესორ ა. გლიკოსგან მოდის.

მოვუსმინოთ აკადემიეკოს ს. ჟურკოვს: „პერკოლაციური მიდგომა რღვევის თეორიაში ერთობ პერსპექტიული მეთოდია და თ. ჭელიძე სამართლიანად ითვლება მის ფუძემდებლად ყოფილი საბჭოთა კავშირის მასშტაბით. ეს მეთოდი ხსნის უაღრესად რთულ და გარემოსათვის აქტუალურ ამოცანებს არაერთგვაროვნებისა და ანიზოტროპიის გათვალისწინებით“.

სიტყვა რუსეთზე „უფრო იქითა“ უცხოეთის მეცნიერებსაც მივცეთ: „პროფესორი თ. ჭელიძე მსოფლიო რანგის ლიდერია თავის პროფესიაში“ — გ. შპიცლერი, კოლორადოს უნივერსიტეტის პროფესორი; „თ. ჭელიძე საერთაშორისო სახელის მკვლევარია. მის მნიშვნელოვან მიღწევათა შორის არის შრომაც ქანების ელექტრულ თვისებებზე. იგი პირველია, ვინც პერკოლაციის თეორია გამოიყენა სხვადასხვა მასშტაბის ბზარიანობის პროცესების ინტერპრეტაციისათვის“ — ცნობილი ფრანგი გეოფიზიკოსი, პროფესორი ივ. გეგენი.

და ეს ყველაფერი ნათქვამია მასზე — პროფესორ თამაზ ჭელიძეზე, გამორჩენილ ქართველ გეოფიზიკოსზე, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრ-კორესპონდენტზე, საბჭოური ხანის ორმაგ დოქტორზე — ქიმიის მეცნიერებათა და ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა (ორმაგი დოქტორობა — ქართული მეცნიერების ისტორიაში უნიკალური შემთხვევა!).

ვფიქრობ, ახლახან მოყვანილ გამონათქვამებში უკვე გამოიკვეთა აკადემიკოსობის „დღევანდელი“ კანდიდატის შთამბეჭდავი პორტრეტი...

1958 წლიდან იწყება თამაზ ჭელიძის მრავალმხრივი და ნაყოფიერი მოღვაწეობა გეოფიზიკის ინსტიტუტში (საქართველოს მეცნიერებათა აკადემია), რომლის დირექტორიც იყო 15 წლის მანძილზე (1992-2006), 1972 წლიდან — თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, სადაც დღემდე უძღვება ერთ-ერთ კათედრას და მიჰყავს რამდენიმე სალექციო კურსი.

ფართოა თამაზ ჭელიძის საკვლევ მიმართულებათა სპექტრი: არაერთგვაროვანი გარემოს ფიზიკა, დედამიწის ქერქის ქანები, გეოეკოლოგია, ძიებითი გეოფიზიკა, დრეკადობა და სეისმურობა, გეოთერმია, სეისმური რისკის შეფასება და მიწისძვრების პროგნოზი და სხვა. ასეთ მრავალმხრივ პრობლემატიკაში ერთპიროვნული ავტორობითა თუ თანაავტორობით შესრულებულმა თეორიულმა და ექსპერიმენტულმა გამოკვლევებმა 280 სამეცნიერო შრომა შეადგინა, რომელთა შორის 4 მონოგრაფიაა, 5 სახელმძღვანელო და რამდენიმე პოპულარული ბროშურა. მისი მეცნიერული შემოქმედება ორჯერ აღინიშნა სააკადემიო პრემიებით — მ. ალექსიძის სახელობისა და მ. ნოდიას სახელობისა (მეორედ ო. ლურსმანაშვილსა და თ. მაჭარაშვილთან ერთად).

1990-95 წლებში თ. ჭელიძისა და ზ. ჯავახიშვილის ხელმძღვანელობით შედგენილ იქნა საქართველოს ზოგადი სეისმური დარაიონების ახალი რუკა, დაყრდნობილი აკადემიკოს ე. გამყრელიძის მოწოდებულ კავკასიის აქტიური რღვევების ახალ სქემაზე, რამაც აამაღლა ამ სამუშაოს ეფექტურობა. აქვე სათქმელად, ეს რუკა 1999 წლიდან ნორმატიულად სცნო მშენებლობის სამინისტრომ.

წლების განმავლობაში ბატონი თამაზი ერთობლივ შრომებს ასრულებს რუსეთის, ჩეხეთის, გერმანიის, აშშ-ის, საფრანგეთის, იტალიის, საბერძნეთის სწავლულებთან: როგორც მსოფლიო სახელის მაღალკვალიფიციური სპეციალისტი. ის გახლავთ ამერიკის გეოფიზიკური საზოგადოების, მსოფლიო საძიებო გეოფიზიკის საზოგადოების, მსოფლიო ინოვაციური ფონდის წევრი.

თამაზ ჭელიძემ მრავალი ახალგაზრდა აზიარა გეოფიზიკურ მეცნიერებას, რომელთა რიცხვში 2 მეცნიერებათა დოქტორია და 8 მეცნიერებათა კანდიდატი.

ახლა დიდი ყურადღება ექცევა მეცნიერის შრომათა ე. წ. „ციტირების ინდექსს“. ბატონი თამაზის შემთხვევაში ის შთამბეჭდავ ციფრად გამოიყურება — 1290 და უთუოდ არ არის ბოლო ზღვარი...

ნიკო გამყრელიძე

ინფორმაცია გაცნობისთვის

უკვე კვალიფიციურ მკვლევარ მათემატიკოსად ჩამოყალიბებული ნიკო გამყრელიძე მძიმე და შფოთიან 1990-იან წლებში განერიდა მშობლიურ თბილისს და მოსკოვს მიაშურა. ახლა იგი, ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი, რუსეთის ი. გუბკინის სახელობის ნავთობისა და გაზის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, „დამატებით“ ამ უნივერსიტეტის ტაშკენტის (უზბეკეთი) ფილიალში უმაღლესი მათემატიკის კათედრის გამგე, ალბათობის თეორიის სპეციალისტთა ფართო წრეებში აღიარებული მაღალი დონის მეცნიერი მეალბათე გახლავთ.

პრესტიჟულ საერთაშორისო ჟურნალებში გამოქვეყნებული 40-ზე მეტი შრომის ავტორს ალბათობის თეორიასა და მათემატიკურ სტატისტიკაში, აგრეთვე მათემატიკური ანალიზის საკითხებში მიღებული ღრმა კვლევითი შედეგები მოხსენებული აქვს უკრაინაში, ფინეთში, ჰოლანდიაში, ესპანეთში, რასაკვირველია, რუსეთში, უზბეკეთში და მშობლიურ საქართველოში გამართულ საერთაშორისო კონფერენციებზე. ეს შედეგები გამოყენებული და მითითებულია რუს, ქართველ და სხვა ავტორთა ათეულობით სტატიაში.

მსოფლიოში სახელგანსმენილი რუსი მათემატიკოსის, აკადემიკოს იური პროხოროვის ღირსეულმა მოწაფემ ნიკო გამყრელიძემ, არსებითი წვლილი შეიტანა, ვთქვათ, დამოუკიდებელ შემთხვევით სიდიდეთა შეჯამების თეორიაში.

„ე. წ. ფიბონაჩის რიცხვების მოხმობით, ნიკო გამყრელიძის მიერ აგებული რთული და ფაქიზი მაგალითი შესაფერის ადგილს დაიკავებს ალბათობის თეორიის სახელმძღვანელოებში და ქრესტომათიული გახდება — ამას სწორედ ი. პროხოროვი ამბობს. „ნ. გამყრელიძის გამოკვლევები, რომლებიც არაწარმოებად ფუნქციებს ეხება, ალბათობის თეორიის გარეთ ალბათური მეთოდების გამოყენების იდეების ნამდვილ მშვენებად წარმოდგება“ — ეს სიტყვებიც ამ გამოჩენილ სწავლულს ეკუთვნის.

ნიკო გამყრელიძის მაღალ ავტორიტეტზე მეტყველებს შემდეგი საგულისხმო ფაქტიც: აკადემიკოსმა იური პროხოროვმა იმოდენა გარემოცვიდან სწორედ ბატონი ნიკო აირჩია თავისი „რჩეული შრომების“ თითქმის 800-გვერდიანი(!) ტომის შემდგენლად და რედაქტორად!

დიალოგი

— ნიკო, საქართველოს ვინ მისცა შვილი დასაკარგავი და მათემატიკოსი „დასაკარგავი“... არ ფიქრობ დაბრუნებას? კონტაქტები ხომ გაქვს თბილისელ კოლეგებთან?

— ვოცნებობ დაბრუნებაზე, როგორ არა. ოღონდ ისეთ საქართველოში, სადაც ლუკმა პური, არსებობა საზრუნავი არ გამიხდება... თბილისში რეგულარულად ჩამოვდივარ, ვცდილობ სპეციალური, ალბათური ლიტერატურით, წიგნებია თუ ჟურნალები, ერთგვარად, უზრუნველვყო ჩემი მშობლიური ანდრია რაზმაძის მათემეტიკის ინსტიტუტი. ცხოვრება არც რუსეთშია დიდად დალხენილი, მაგალითად, სამედიცინო მომსახურება იქაც საშინლად ძვირია და მთელი სფერო კორუმპირებული, მაგრამ მაინც მეცხოვრება ოჯახთან ერთად.

— მეცნიერების მდგომარეობის თვალსაზრისით როგორ შეადარებდი ორ ქვეყანას?

— ინტერესი ისედაც ჩაკლულია, რუსეთში; კერძოდ, ახალგაზრდობისაც, ოღონდ რუსებმა მოახერხეს მათემატიკის ინსტიტუტის, გამოთვლითი მათემატიკის ინსტიტუტის, გამოთვლითი ცენტრის შენობების შენარჩუნება, განსხვავებით თბილისისგან, სადაც აგრე უცერემონიოდ, უსინდისოდ გამოყარეს საბჭოურ ხანაში აშენებული მშვენიერი შენობიდან მათემატიკის ინსტიტუტის თანამშრომლები და გამოყრის პირას მიუყვანიათ, როგორც ვიცი, გამოთვლითი მათემატიკის ინსტიტუტის კოლექტივი...

— მოსკოვში მაინც მეცხოვრებაო, ამბობ. საქართველო-რუსეთის ამჟამინდელი არასახარბიელო, რბილად რომ ვთქვათ, ურთიერთობების ფონზე, როგორია შენთან დამოკიდებულება?

— ჩემს წრეში აბსოლუტურად ვერ ვგრძნობ მტრულ დამოკიდებულებას, სავსებით კორექტულად მეპყრობიან. ეს იმ მხარდაჭერიდანაც კარგად ჩანს, რომელიც განთქმული სტეკლოვის მათემატიკის ინსტიტუტიდან აღმომიჩინეს... კი, არის ხოლმე მომენტები, როცა რუს ნაციონალისტებს გადაეყრები და „აღზრდას“ გიპირებენ. ასეთ დროს მე ვეუბნები, რომ კარგია თუ ცუდი, საქართველო ჩემი დედაა, ჩემი სამშობლოა და მის წინააღმდეგ არასოდეს არ წავალ.

ლუკა გორგაძე

საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის სამშენებლო ფაკულტეტის 1950 წლის კურსდამთავრებულები მწუხარებით იუწყებიან, რომ ჩვენს საყვარელ მეგობარს, დამსახურებულ ინჟინერს, სახელმწიფო პრემიის ლაურეატს ნოდარ მეძმარიაშვილს გარდაეცვალა მეუღლე

გალინა ონიშჩენკო-მეძმარიაშვილი

და თანაგრძნობას უცხადებენ მას და მისი დიდი ოჯახის წევრებს.

ნელი გამყრელიძე, ადიკო გვალია, გია გიგიბერია, გივი კვიჭიძე, იოსეგ ლალიაშვილი, ლამარა მასხარაშვილი, ირაკლი მილორავა, მილიცა ნადირაძე, კოტე უჩანეიშვილი, ნოდარ ჩიბალაშვილი, იამზე ფანცხავა, ნათელა ჭედია, გუგა ჭოხონელიძე, რეზო ხარატიშვილი.

საქართველოს არქიტექტორთა და მშენებელთა საინციკლოპედიო საგამომცემლო ფონდი ღრმა მწუხარებით თანაუგრძნობს ბატონ ნოდარ მეძმარიაშვილს ძვირფასი მეუღლის

გალინა მეძმარიაშვილის

გარდაცვალების გამო.

უახლოესი მეგობრები რევაზ ნაცარიშვილი, მოსე მდინარაძე, ტიტიკო ლეფსაია, გურამ გვეტაძე, გიორგი ხაზარაძე, დავით იაკობაშვილი, ნოდარ პეტრიაშვილი, ვახტანგ ჯაფარიძე, ომარ დალაქიშვილი, ნიკოლოზ აბრამიშვილი, მანანა არევაძე გულითად თანაგრძნობას უცხადებენ ბატონ უშანგი შერმაზანაშვილს მეუღლის, ქალბატონი

ეთერის

გარდაცვალების გამო.

შვილები დავითი, მაია რიბაშვილი, შვილიშვილები გივი, მარი რიბაშვილები, ანი მურადაშვილი, და მანანა, დისწული ცისანა, სიძე ჯემალ სეფიაშვილი, რძალი სტანისლავ ტალანოვა, სიძე სოსო ზაქარეიშვილი, მამიდა დუსა ჯანაშვილი, მაზლი იური, მაზლიშვილი კობა, მულები რაისა, ციალა, ნანული რიბაშვილები ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

თამარ (ნანა) სიმონის ასული იოსებაშვილი

პანაშვიდი 27, 28 IV, 17 სთ. გამოსვენება 29 IV, 14 სთ. მისამართი: დოლიძის ქ. კორპუსი 8, მე-2 სადარბაზო, მე-5 სართული.

◎ იურიდიული კონსულტაცია

რუბრიკას უძღვება „საქართველოს რესპუბლიკის“ იურიდიული კონსულტანტი ირინე ღლონტი

კითხვა: ვარ 25 წლის, მყავს 2 შვილი, მათ შორის უმცროსი 3 თვისაა, ვმუშაობ საჯარო სამსახურში მაღალ ხელფასზე, მეუღლეს და დედას დაბალი ხელფასი აქვთ, მინდა გავიდე სამსახურში და ჩემს ნაცვლად ბავშვის მოსავლელად დედაჩემმა აიღოს უხელფასო შვებულება, ადრე ეს დასაშვები იყო. გთხოვთ მაცნობოთ ისევ მოქმედებს ასეთი წესი?

ლაურა ონიანი

პასუხი: საქართველოს შრომის კოდექსის 30-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად შვებულება ბავშვის მოსავლელად შეუძლია აიღოს ბებიამ, მამამ ან ნებისმიერმა პირმა, რომელიც მას მოუვლის. მხედველობიდან არ გამოგრჩეთ, რომ მოქმედი შრომის კოდექსით ქალს შვებულება ორსულობის მშობიარობისა და ბავშვის მოვლის გამო (ანაზღაურებადი და ანაზღაურების გარეშე) საერთო ჯამით მხოლოდ 477 კალენდარული დღის ხანგრძლივობით ეკუთვნის.

* * *

კითხვა: 20 წელია ვმუშაობ შპს-ში მაღალ ხელფასზე, ჩამეთვლება თუ არა აღნიშნული შრომის სტაჟში?

მარინა ნინიძე

პასუხი: მოქმედი კანონის თანახმად, კერძო სტრუქტურაში მუშაობა შრომის სტაჟში ჩაგეთვლებათ.

* * *

კითხვა: თუ შეიძლება განმიმარტეთ, მოქმედი შრომის კოდექსი როგორი წესით ითვალისწინებს დასაქმებულთა შრომის ანაზღაურების გაცემას?

ლომერი მირიანაშვილი

პასუხი: საქართველოს შრომის კოდექსის 31-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, შრომის ანაზღაურება უნდა გაიცეს სამუშაო ადგილზე, თვეში ერთხელ ან დამსაქმებლისა და დასაქმებულის ურთიერთშეთანხმებით — ბანკის მეშვეობით.

ტელ: 595 05-11-77

◎ დაზუსტება

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ წლევანდელი 23 აპრილის ნომრის მეცხრე გვერდზე გამოქვეყნებულ განცხადებაში შპს „არქეოპოლისის“ ნაცვლად უნდა ეწეროს სს „არქეოპოლისი“.

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

დაიჯესტი

„ცოცხალი“ მარსი

ამერიკულმა მარსმავალმა „ცნობისმოყვარეობამ“ ჩვენს მეზობელ პლანეტაზე სასმელი წყალი აღმოაჩინა.

დაჯდომის შემდეგ მარსმავალს ელექტრონული გონების დროებითი „დაბინდება“ დაემართა, მაგრამ მალე-ვე კვლევათა დასახული გეგმის განხორციელებას შეუდგა და ადრე აღებული გრუნტის სინჯების ანალიზები ჩაატარა. ნიმუშები „ცნობისმოყვარემ“ თებერვალში იელოუქნაიფის სახელით ცნობილ რაიონში, ძველი ღელეს კალაპოტში აიღო. ამ ადგილას მარსმავალმა მცირე სიღრმის ჭა გაბურღა, რომლიდან 7 სანტიმეტრის სიღრმიდან ერთგვარი რუხი ფერის ქანი ამოიღო. ამის შემდეგ ნიმუში აქანდაზის მეშვეობით აპარატის შიგნით ანალიზატორში მოთავსდა. ახლახან კი მეცნიერებმა, მათივე განცხადებით, სენსაციური შედეგი მიიღეს.

— ჩვენ ვიხილეთ გარემო, რომელიც შესაძლოა, ოდესღაც ცოცხალი ორგანიზმებით იყო დასახლებული, — განაცხადა ანალიზატორ „ჩი მაინის“ მუშაობაზე პასუხისმგებელი ჯგუფის ხელმძღვანელმა დევიდ ბლეიკმა.

მოპოვებულ მარსულ ქანში მეცნიერებმა აღმოაჩინეს გოგირდი, აზოტი, წყალბადი, ჟანგბადი, ფოსფორი, ნახშირბადი — ანუ ცოცხალი ორგანიზმების არსებობისთვის ყველა აუცილებელი ელემენტი. გარდა ამისა, რუხ ქანში აღმოჩნდა თიხოვანი მინერალები, რომლებიც აშკარად მტკნარ წყალშია წარმოშობილი.

მკვლევარებს მიაჩნიათ, რომ სამი მილიარდი წლის წინათ მარსს გაცილებით მკვრივი ატმოსფერო ჰქონდა, ხოლო ზედაპირზე თხევადი წყალი იყო. ის რაიონი კი, სადაც ამჟამად მარსმავალი გადაადგილდება, უწინ ან მდინარის შესართავი, ანდა ტბის ფსკერი უნდა ყოფილიყო, რომელიც დროდადრო შრებოდა.

როგორ უნდა ყოფილიყო მარსული უძველესი სიცოცხლე? ამაზე პასუხი მკვლევარებს ჯერჯერობით არა აქვთ, მაგრამ იქ რომ მრავალრიცხოვან მიკრობებს შეეძლოთ ეარსებათ, ამაში ეჭვი არ არის. თუმცა კი, თავად მიკროორგანიზმები, ან მათი არსებობის კვალი ჯერჯერობით ნაპოვნი არ არის.

კაცობრიობის გადამრჩენი

საბჭოთა ოფიცრის სიფხიზლემ და გამჭრიახმა გონებამ 30 წლის წინათ მსოფლიო... ბირთვული ომის არმაგედონს გადაარჩინა.

მოსკოვის მახლობლად ქალაქ სერპუხოვ-15-ის სამეთაურო პუნქტზე ღამის მორიგეობა სტანისლავ პეტროვს 1983 წლის 26 სექტემბერს მოუწია. ნაშუაღამევს, როცა ქვეყანას ეძინა, უცბად ბირთვული შეტევის ადრეული გაფრთხილების სისტემა ჩაირთო. 00.15 საათზე მიწისქვეშ 100 მეტრის სიღრმეზე სირენები ჩაირთო, რადარების ეკრანებზე კი ამერიკის შეერთებული შტატების ტერიტორიიდან საბჭოთა კავშირისკენ გამოშვებული უამრავი საკონტინენტთაშორისო რაკეტა აისახა. მაგრამ ოფიცერს ეჭვი შეეპარა და ბედად წითელ ღილაკს თითი არ დააჭირა. ეჭვი კი მას იმის გამო გაუჩნდა, რომ სისტემის მონაცემებით, ყველა რაკეტა ერთი ამერიკული ბაზიდან იყო „გამოშვებული“, მეორე გარემოება კი ის იყო, რომ მას რაკეტების მეორე ტალღა არ მოყვებოდა. ამიტომ მან სავსებით მართებულად ჩათვალა, რომ ყველაფერი კომპიუტერის მუშაობაში შეფერხება იყო და ამის შესახებ სასწრაფოდ ხელმძღვანელობას მოახსენა. ისე მოხდა, რომ იმ ღამეს სტანისლავ პეტროვმა მსოფლიო ბირთვულ ომს გადაარჩინა.

მოგვიანებით ჩატარებული გამოძიებით დადგინდა, რომ ცრუ განგაში შესაძლოა, თანამგზავრის პროვოცირების შედეგი იყო, რომლის თვალთვალის სისტემები დედამიწიდან არეკლილმა მზის სხივებმა „დააბრმავეს“.

მოკალი დელფინი და... კაცი ხარ!

შოტლანდიასა და ისლანდიას შორის მდებარე პატარა კუნძულოვან სახელმწიფო ფარერებში ყოველწლიურად რამდენიმე ასეულ დელფინს კლავენ.

ზღვაში გასული ფარერელი მეზღვაურები სა-

ნაპიროს მარჩხ უბანზე ასობით დელფინს ერეკებიან და შემდეგ ისრებივით გრძელი დანებით ხოცავენ. მერე ისინი ნადავლს რატომღაც ნაჭრებად ჭრიან, თავად კი წელამდე მაღალყელიან რეზინის ჩექმებში სისხლისგან გაწითლებულ ზღვაში დაბორიალობენ. დამკვირვებლები ამ საშინელებას ვიდეოზე იღებენ, შემდგომ კი ინტერნეტში ათავსებენ.

ერთ-ერთ ადგილობრივ გაზეთში გამოსვლისას ფარერის კუნძულების მონადირეთა ასოციაციის პრეზიდენტმა ოლავურ სიურარბერგმა აღნიშნა, რომ ის, რაც დანიის სამეფოს ამ ავტონომიაში ყოველწლიურად ხდება — ეს სასაკლაო და მხეცობა კი არა, არამედ უძველესი ეროვნული ტრადიციაა. მერე რა, რომ ფარერელთა წინაპრები უწინ დელფინების ხორცს ჭამდნენ, რადგან სხვა საკვები ნაკლებად მოეპოვებოდათ, ახლა კი მაღაზიებში რამდენიც გნებავთ იმდენი პროდუქტია, ამ შემთხვევაში კი მნიშვნელოვანია თავად ტრადიცია. თურმე საქმე ისაა, რომ დელფინის მოკვლა ფარერელი ჭაბუკისთვის სრულფასოვან მამაკაცად გახდომის რიტუალია.

აღსანიშნავია, რომ თითქმის ანალოგიური რამ ხდება ყოველ ზაფხულს ჩუკოტკაზე, სადაც ვეშაპების კვლა ეროვნული დღესასწაულია.

ჩვენი პრესდაიჯესტი

ვაშინგტონი ვარსებებთან

პრეზიდენტის ავლაბრის რეზიდენცია კერძო პირზე გააფორმეს?

„ვერსიის“ წყაროს ინფორმაციით, საქართველოს პრეზიდენტის სასახლეს, ანუ ავლაბრის რეზიდენციასა და რაბათის ციხეს კერძო მფლობელი ჰყავს. როგორც გვითხრეს, ეს ორი ობიექტი, ნაციონალურმა ხელისუფლებამ 1 ოქტომბრის არჩევნების წინ გააფორმა კონკრეტულ პიროვნებაზე. რაბათის ციხესთან დაკავშირებით წყაროს ინფორმაცია არ დადასტურდა, რადგან ისტორიული შენობა ახალციხის მუნიციპალიტეტის ბალანსზე ირიცხება. რაც შეეხება პრეზიდენტის სასახლის მფლობელს, ორი დღის მცდელობის მიუხედავად, მისი ვინაობა ვერ გავარკვიეთ.

როგორც გვითხრეს, ეს ინფორმაცია დახურულია. „ვერსია“ ორი დღის განმავლობაში უშედეგოდ ცდილობდა ოფიციალური ინფორმაციის მოპოვებას, რამაც ჩვენი ეჭვი, რომ შესაძლოა, პრეზიდენტის სასახლეს კერძო მფლობელი ჰყავდეს, კიდევ უფრო გაამყარა.

„ვერსია“

გურამ ვახტანგაშვილი აგვისტოს ომის გამოძიებას ითხოვს

ლიახვის ხეობის ყოფილი მაჟორიტარ დეპუტატ გურამ ვახტანგაშვილს 2008 წლის აგვისტოს ომთან დაკავშირებით მთელი რიგი კითხვები აქვს. ამასთანავე, ყოფილი დეპუტატი ამ ეტაპზე გარკვეულ სკანდალურ განცხადებასაც აკეთებს და ხელისუფლებას 2008 წელს ცხინვალის რეგიონში გარკვეულ პროვოკაციულ ქმედებებში ადანაშაულებს.

„ახალი თაობა“

რის სათხოვნელად ჩავიდა სააკაშვილი ამერიკაში?

— მე როგორც ვიცი, სააკაშვილის ვიზიტი არც ოფიციალურია და არც სამუშაო, — ამბობს მთავრობის კანცელარიის ყოფილი უფროსი, პოლიტოლოგი პეტრე მამრაძე, — უბრალოდ, ის ივანიშვილისა და ახალი ხელისუფლების ანტიპროპაგანდისთვის იმყოფება შტატებში. სხვა მნიშვნელოვანი იქ არაფერი ხდება, რადგან სააკაშვილს ამის რესურსი არა აქვს. იგი ახლა რადიკალურ ნაბიჯებს ვერ გადადგამს და ამას არც მისი ლობისტები არ ურჩევენ, რადგან ეს იქნება ძალიან წამგებიანი, ხალხს ექნება მძაფრი რეაქცია, მაშინ მოუწევს ამ ქვეყნიდან გაქცევა... სააკაშვილი ამერიკელებს, ალბათ, გვერდით დგომას სთხოვს.

„ალია“

რეკლამა გ. ახვლედიანის ქ. №19.
„საქართველოს რესპუბლიკაში“
299-62-77; 599 32-85-76.

ანეკდოტები

— ძალიშვილო, შეიძლება, თქვენ გვერდით ჩამოვჯდე?

— შეიძლება, მაგრამ ნუ შეეცდებით სექსზე ჩემს დაყოლიებას.

— რაო, გიყვართ სექსი?

— აი, უკვე დამიყოლიეთ.

* * *

ვერც კი მოვასწარი ჩემს ასაკთან შეგუება, რომ ის უკვე შეიცვალა.

* * *

მეგობარ ათვალიერებს უცხოეთიდან ჩამოფრენილი ტიპის ჩემოდანს:

— აბა, გეთაყვა, მოდით, უდავიდარაბოდ განვსაზღვროთ, რა არის აქ თქვენი და რა — ჩემი.

* * *

დაძორწინება თუნდაც იმისთვის არის აუცილებელი, რომ მიხვდე, თუ რატომ არ უნდა გადაგედგა ეს ნაბიჯი.

* * *

— ეძიმო, მითხარით, ჩემთვის აუცილებელია სიგარეტის წევის მიტოვება?

— სრულებითაც არა, უკვე გვიანია...

* * *

ყველაზე გავრცელებული სასიყვარულო სამკუთხედი: კაცი, ქალი და იდიოტიზმი.

კადრი

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გ. ახვლედიანის (ყოფილი პერმოვსკაიას) ქ. 19
ინდექსი 66434

გამომცემლები:
შპს „თანადგომა-1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“ ტ: 599 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“ იბეჭდება „კოლორში“ (რკინიგზის ჩიხი, № 20)

uac(უაკ)070.4(479.22)
ს-323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
299-62-77;
599 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 599 53-76-16;
რუსლან რუსია 599 17-21-21;
სპარტაკ ძოგულია 599 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 514 33-33-24

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com